# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 დეკემბერი, 2012 წელი.

№243 (7119)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge    ვებ გვერდი: www.open.ge    ფასი 50 თეთრი.


## როცა სიკეთეს ბოროტების დამარცხება უძნელდება...



6-7

## ადეიშვილი თავისსავე გათხრილ ორმოში ჩავარდა

3

## ქამინ-გაუტისტები, ანუ ბიოლის ფონდის ვნებანი...

4

## აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს — წმინდა გიორგის ოქროს ორდენი



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე „საქართველოში მეცნიერების განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დააჯილდოვა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.**

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სიყვარულითა და პატივისცემით სავსე მთელი გულით უერთდება ჩვენი სამეცნიერო ინტელიგენციის სამართლიან სიხარულს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოების გამო. ეს ჭეშმარიტად უწმინდესი და ღვთაებრივი ჯილდო აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მკერდზე „საქართველოს მეცნიერების განვითარებაში გამორჩეული წვლილის შეტანისთვის“ აღმოჩნდა. ეს წვლილი კი მართლაც უდიდესია, პლანეტის ასევე უდიდეს მეცნიერთაგან ერთხმად აღიარებული.*

*იცოცხლეთ და ჯანმრთელად იდღეგრძელეთ, ბატონო თამაზ, თქვენს ჩინებულ ოჯახთან ერთად! თქვენი დიდი, გამორჩეული სამეცნიერო წვლილისა არ იყოს, ადამიანურადაც თქვენ ყოველმხრივ გამორჩეული ბრძანდებით და თქვენი სიდიადე სწორედაც ამ ჭეშმარიტად ადამიანურ გამორჩეულობაშია.*

*აწ და მარადის გფარავდეთ წმინდა გიორგის მადლი!..*

### ⦿ მადლიერება

## „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...“



**რუსთაველის თეატრი, რომელშიც ფრანც კაფკასი არ იყოს, ფრჩხილებით ამოვიკაწრე ჩემი ადგილი, სისხლით ნათესავი იყო ჩემი, მაგრამ ამ ბოლო დროს ყრუ-მუნჯი გახდა ჩვენი ურთიერთობა, უფრო სწორად, შეწყდა. იქნებ, ვიღაცას მოძველებურად მოეჩვენოს ის აზრი, რომ თეატრი გარდერობიდან იწყება, სადაც ჩემთვის უკვე ჩაწყობილი იყო პატარა ნაღმები, რომლებიც სცენაზე ფეთქდებოდა. კი ისმოდა დეკლამაცია, მუსიკა, ხალხის ჩოჩქოლი, მაგრამ რუსთაველის თეატრი ბრმა ფასადით მიყურებდა, თვალებიც ჰქონდა, ოღონდ, ნორმალური ადამიანის ბროლით. ის „უკუღმართი“ წახნაგები გაუსრისეს და დაურბილეს. აღარ მეგონა, თუ კიდევ მომიწყობდა ზეიმს რობიკო სტურუას ორი სპექტაკლით ა.კალიაგინის თეატრი.**

შექსპირის „ქარიშხალი“ არც „ჰამლეტია“, არც „ლირი“ და არც „რიჩარდი“ ლამაზი, იუმორით და დრამატიზმით სავსე ზღაპარია, რომელიც პიტერ გრინუეის ლექსივით ფილმით მქონდა მეხსიერებაში ჩარჩენილი.

და უცებ, ქაღალდის გემი, კომპიუტერული ზღვა, იუმორი და ტრაგედია, თავისი წითელი სპაზმებით, ასეთივე მუსიკით და სასტიკი ერინიათი სცენის თუ ჩემი ნერვების შუაში (მხიარული, სიფრიფანა, კეთილი არიელის გარდასახვა) ან მეორე სპექტაკლი: მარტოხელობის ძაღლური ბუნება, სრული გამოუსავლობა, მაგრამ, ბოლოს, შტრაუსის ვალსი ეკრანზე, დიდებული კალიაგინის დირიჟორობით, მსუბუქი წვიმასავით რომ იწყება და იქცევა თქეშად, დელგმად, რომელმაც თუ მოგკლა, სიყვარულით მოგკლავს, მზესავით, როგორც დადებით სტიქიებს სჩვევიათ.

კი, რობერტ სტურუა, ალექსანდრ კალიაგინი, „et getera“ რუსთაველის თეატრი, მაგრამ ეს ზეიმი ვინც გვაჩუქა, იჯდა დარბაზში და უყურებდა სპექტაკლს, ბატონი ბიძინა ივანიშვილი. წყნარად, თავისთვის, ყოველგვარი აურზაურისა და დავიდარაბის გარეშე, რაც მაღალ თანამდებობას მოჰყვება ხოლმე. და მაყურებელს უხაროდა, რომ მასთან ერთად უყურებდა სპექტაკლს.

რუსთაველის თეატრი ხომ ისედაც მისი აღდგენილია, მაშინ, იმ უმძიმეს დროში, როცა კონცერტი კი აღარ მენატრებოდა, არამედ ის დისონანსებიც კი, ორკესტრის აწყობისას რომ ისმის, მუსიკის დაწყების წინ.

აღდგენილი რუსთაველის თეატრი ჩემთვის ჰამლეტის „ხაფანგს“ დაემსგავსა, ხშირად, მისი შემწეობით ვეგუებოდი მძიმე ყოფას.

და კიდევ რამდენი რამ გვაჩუქა ბიძინა ივანიშვილმა, სამების ტაძრით დაწყებული, ამაზე იმდენი ითქვა, რომ გამეორება აღარ ღირს, მე კი გამახსენდა, ერთხელ, პარიზში ყოფნისას, როცა „ბობურიდან“ (პომპიდუს ცენტრიდან) გამოვედი, როგორ ვინატრე: რა კარგი იქნებოდა, რომ ოდესმე ასეთი სახელმწიფოს მეთაური გვყოლოდა, არა მარტო ფილოლოგობის, არამედ ხელოვნებისკენ, კულტურისკენ მიდრეკილების გამო! და ჩემი ფიქრის დასტურად ყოველდღე ვიგებდი, ვის ეხმარება ბატონი ბიძინა, ვის უნარჩუნებს გამათხოვრებულ სიცოცხლეს, თან ეს ხომ არ იყო ქველმოქმედება იმ ტრადიციული აზრით, გადასახადების შემცირებისთვის, როგორც თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ის ეხმარებოდა ადამიანებს და მათი სიცოცხლე იყო მისთვის მთავარი, ამიტომ შეხვდნენ ასეთი სიხარულით მის პირველსავე გამოჩენას.

მახსოვს, ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში ბატონმა ბიძინამ ილაპარაკა იმაზე, რომ ყველაზე მთავარია ბავშვის სწორი აღზრდა, რომ ცხოვრების მოწესრიგება სწორედ აქედან უნდა დაიწყოს და ატყდა დავიდარაბა: როგორ ლაპარაკობს პოლიტიკაში მოსული კაცი, ლოზუნგების და პათოსის გარეშე, არა ქუჩის ენით, რასაც ქულები მოაქვს.

ჩემთვის კი ეს გამოსვლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საუკეთესო იყო, მათ შორის რაც ორატორებისგან მომისმენია. თუ ვინმეს დაავიწყდა, გავახსენებ დოსტოევსკის, რომ მსოფლიო ჰარმონია, თუკი ასეთი რამ მიიღწევა, შეიძლება, ერთადერთი ბავშვის ცრემლმა დაარღვიოს.

როცა ჩვენს დისჰარმონიას ბევრი ბავშვის ცრემლი ანგრევს, ამ თემაზე საუბარი ჩემთვის ძალიან ღირებულია.

ასეთი ჭკუის და მასშტაბის ადამიანს, რაღა თქმა უნდა, არ გაუჭირდა არც პოლიტიკურ და არც ერთ სხვა თემაზე საუბარი, როცა ამის დრო დადგა, მაგრამ ეს გამოსვლა ჩემთვის გასაღები იყო მისი ოდნავ ღრმად დანახვისა.

წერილის, გამოსვლის, ლექსის ბოლოს, ადამიანს უჩნდება ცდუნება რაღაც ძალიან პათეტიკური და ჰიპერბოლური თქვას, მაგრამ, ალბათ, რაც ამდენი ხნის მანძილზე გაგიჯდა გულსა და გონებაში, რაც ისედაც ნათელი და აშკარაა, აღმატებით ხარისხს აღარ საჭიროებს.

**„რაც ერთხელ ცხოვლად**
**სულს დააჩნდების,**
**საშვილიშვილოდ გარდაეცემის“**

**ლია სტურუა**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ბიძინა ივანიშვილმა უცხოელი ჟურნალისტები დაარწმუნა, რომ პოლიტიკური დევნა არ იქნება



**უცხოური მედიასაშუალებების ჟურნალისტები საქართველოში კოჰაბიტაციის პროცესის მიმდინარეობითა და შესაძლო შერჩევითი სამართლის არსებობით დაინტერესდნენ.**

როგორც უცხოური მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, ძირითადი საკითხი, რასთან დაკავშირებითაც ჟურნალისტებმა შეკითხვები დასვეს, ძველ ხელისუფლებასთან ურთიერთობას და შესაძლო შერჩევითი სამართლის არსებობას უკავშირდებოდა.

— დავარწმუნე ისინი, რომ საქართველოში მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს. არ იქნება შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური დევნა. ასევე, ვისაუბრეთ ეკონომიკაზე და სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობაზეც, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

შეხვედრა სასტუმრო „ამბასადორში" დახურულ კარს მიღმა გაიმართა და დაახლოებით ორი საათს გაგრძელდა.

# პრეზიდენტის ანეკდოტური გადაწყვეტილება

**პრემიერი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას „სამოქალაქო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობასთან დაკავშირებით" ანეკდოტურს უწოდებს. როგორც პრემიერ-მინისტრმა ქართველ ჟურნალისტებს სასტუმრო „ამბასადორში" უცხოური მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა, ყველამ კარგად იცის, თუ როგორი მდგომარეობა იყო საქართველოში მედიის კუთხით წინა ხელისუფლების მმართველობისას.**

— სააკაშვილი რომ ახლა გახდა თავისუფალი მედიის დამცველი, სასაცილოა. საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ტელეკომპანია „იმედს" შორის ის პარალელს ავლებს და, შესაბამისად, ახლა მისი მხრიდან თანხის გამოყოფა თავისუფალი მედიისთვის ანეკდოტურია, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა „სამოქალაქო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობასთან დაკავშირებით" ბრძანებულება გამოსცა.

პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო სექტორისა და თავისუფალი მედიის განვითარების ხელშეწყობის პროექტს არასამეწარმეო იურიდიული პირი განახორციელებს, „საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნდა. ამ მიზნით პრეზიდენტი საკუთარი სარეზერვო ფონდიდან მილიონ ლარს გამოყოფს.

# ამნისტიის კანონპროექტზე ვერ თანხმდებიან

**მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ამნისტიის შესახებ კანონპროექტში წარმოდგენილ სისხლის სამართლის კოდექსის რიგ მუხლებთან დაკავშირებით ვერ თანხმდებიან.**

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კამათი საპარლამენტო ოპოზიციასა და უმრავლესობის წარმომადგენლების გარდა, უმრავლესობასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის წარმომადგენლებს შორისაც გაიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტრო წინააღმდეგია, სასჯელისგან 260-ე მუხლის მესამე ნაწილით და ასევე 353-ე მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდებული პირები გათავისუფლდნენ. პროკურატურა კი, ამნისტიის შესახებ კანონპროექტიდან 180-ე მუხლის ამოღებას მოითხოვს.**

260-ე მუხლი ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირებს ეხებათ, რომელთა ქმედებაც არ კვალიფიცირდება ნარკოტიკების გასაღების ნიშნით. ამის მიუხედავად შს სამინისტროს წარმომადგენელი დავით კორახაშვილი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია განსაკუთრებულად დიდი ოდენობის ნარკოტიკების გადაზიდვასა და მოხმარებაზე და შსს კატეგორიული წინააღმდეგია ამნისტირება ამ ნაწილში მსჯავრდებულ ადამიანებს შეეხოს.

რაც შეეხება 353-ე მუხლის მეორე ნაწილს, ამ შემთხვევაში საუბარია პოლიციელების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაზე, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ჯგუფის მიერ იძულებას და იძულებით მუქარას. შს სამინიტრო მიიჩნევს, რომ ამ ქმედების გამო დაპატიმრებული პირების ამნისტირება ბიძგს მისცემს შემდგომში აღნიშნული დანაშაულის ჩადენას.

რაც შეეხება 180-ე მუხლს, მასში საუბარია თაღლითობის გამო მსჯავრდებულ პირებზე. პროკურატურა მიიჩნევს, რომ 180-ე მუხლი მთლიანად არ შეიძლება ამინისტირებული იყოს. პროკურატურა პარლამენტს სთავაზობს, რომ მოხდეს 180-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის განახევრება, მაგრამ არა გათავისუფლება.



**ინტერპრესნიუსი**

## ⊙ უკანონობა?!

# რას და როგორ ხმარდებოდა ჩვენი ფული!

## 14 მილიონი ლარი – კონცერტებზე, 36 მილიონი კი – გაურკვეველი მიმართულებით



**2010-2011 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხებთან მიმართებაში მაღალია ე.წ. უცნობი ხარჯების წილი. 2010 წელს აღნიშნული თანხა შეადგენდა 20,591,792 მილიონ ლარს, რაც მთელი სარეზერვო ფონდის 38% იყო. ხოლო 2011 წელში იგივე ტიპის ხარჯები 16,571,714 მილიონი ლარი იყო, რამაც 34% შეადგინა", — ნათქვამია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში, რომელიც 2010-2012 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის გამჭვირვალობასა და მიზნობრიობას ეხება.**

საია-ს ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხების ხარჯვაზე გავლენა მოახდინა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა. კერძოდ, მარტო წლეულს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად 33 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში, პრეზიდენტის განკარგულებებში არ ასახულა გამოყოფილი თანხების კონკრეტული მიზნობრიობა, რაც თვითმმართველ ერთეულებს გამოყოფილი თანხების ხარჯვისთვის მეტ თავისუფლებას უტოვებდა.

ამასთანავე, არსებული საკანონმდებლო რეგულირება სარეზერვო ფონდებიდან თანხების ხარჯვის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებთან დაკავშირებით რაიმე სახის განსაკუთრებულ რეგულაციებს არ ითვალისწინებს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ფაქტობრივად თანხების გამოყოფის პროცესში სრულ თავისუფლებას ანიჭებს.

2010 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 54 563 100 ლარი შეადგინა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 54 314 500 ლარი. თანხების უფრო დეტალური ანგარიში აჩვენებს, რომ ფონდის მთლიანი მოცულობის 20.16%, ანუ 11 000 000 ლარი თბილისის მერიას და ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს აქვს გამოყოფილი, 14.62% (7 980 702 ლარი) კონცერტების, მოდის კვირეულების, მუსიკალური კლიპების და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზეა დახარჯული. ახალი წლის ღონისძიებები ბათუმში 4 910 122 ლარი დაჯდა (8.99%); სკულპტურებზე, ძეგლებზე საგამოფენო დარბაზებისა და გალერეების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 1 836 934 ლარი დაიხარჯა; ტურისტული პოტენციალის სარეკლამო კლიპებსა და საინფორმაციო ბილბორდებისთვის კი 1 361 875 ლარი არის გამოყოფილი; სოციალურად დაუცველთა და სხვა მოქალაქეებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით 149 267 ლარი გამოიყო, სხვადასხვა ხარჯებზე კი — 501 848 ლარი. შეგახსენებთ, რომ სოციალური დახმარებების სახით გაცემულ თანხებთან დაკავშირებით საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატებს მაშინ სერიოზული პრეტენზიები ჰქონდათ, რადგან მათი მტკიცებით, ეს დახმარებები რეალურად თვითმმართველობის არჩევნებში კარგი მუშაობისთვის „ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორებსა და აქტივისტებზე იყო გაცემული.

2011 წლის სარეზერვო ფონდის სტრუქტურაც საკმაოდ საინტერესოა. ამ წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 49 289 600 ლარი შეადგინა, ხოლო გაწეული საკასო ხარჯი 49 022 600 ლარი იყო. აქედან ყველაზე დიდი წილი, 8 080 164 ლარი (16.39%) საცურაო აუზების, ბულვარების, პარკების და კოტეჯების მშენებლობისთვის იყო გამოყოფილი; 14.24% (7 019 962 ლარი) კონცერტების, შემოქმედებითი საღამოების და კულტურული დღეების მოწყობას მოხმარდა; 3 513 560 ლარი (7.13%) ადმინისტრაციული ორგანოებისა და სხვადასხვა ჯგუფების შეუფერხებელი მუშაობისთვის დაიხარჯა; 3 259 720 ლარი სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, 1 435 488 ლარი საახალწლო ღონისძიებებზე, ხოლო 1 666 521 ლარი სარეკლამო კლიპებსა და ბანერებზე დაიხარჯა.

საია-ში აცხადებენ, რომ 2012 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში, პრეზიდენტის განკარგულებების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან ბევრად მეტი თანხა გამოიყო, ვიდრე ეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ცხრა თვის ანგარიშში არის ასახული. კერძოდ, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 40,984,000 ლარი გამოიყო. ხოლო საიასთვის მოწოდებული განკარგულებების მიხედვით, აღნიშნული თანხა 44,612,057 ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 9 თვის განმავლობაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ყველაზე დიდი წილი 33 150 000 ლარი (74%) სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებზე არის დახარჯული; ადმინისტრაციული ორგანოებისა და სხვადასხვა ჯგუფების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის - 3 845 330 ლარი (8.38%) არის გამოყოფილი; სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე 1 700 000 ლარი (4.15%) დაიხარჯა; ეკლესიების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე, ასევე პატრიარქის აღსაყდრებიდან 35 წლისთავის აღნიშვნაზე 1 139 225 ლარი გამოიყო; საზოგადოებრივი აზრის კვლევაზე - 835 730 ლარი, მივლინებებსა და ვიზიტებზე კი - 738 342 ლარი. სომალელი მეკობრეების ტყვეობიდან გათავისუფლებული მეზღვაურების ტრანსპორტირებისთვის პრეზიდენტის სარეზევრო ფონდიდან 279 439 ლარი გამოიყო, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების და სხვა პირებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა კი 164 964 ლარი დაჯდა. და ბოლოს, ამ წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მუხლში — „სხვადასხვა" 2 542 577 ლარია გაწერილი.

**რუსიკო უშიკიშვილი**

# გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს

**როგორც ჟურნალისტებს თეა წულუკიანმა განუცხადა, ჟვანიას საქმე ახალი ხელისუფლებისთვის ღირსების საკითხია და გამოძიების შედეგებზე საუბარი დღეისთვის მართებული არ იქნება.**

„ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიება ჩვენი ხელისუფლების ღირსების საკითხი და პრიოროტეტია. აქტიური ტემპით მიმდინარეობს ამ საქმეზე მუშაობა ყოველდღიურ რეჟიმში, მაგრამ როდის დასრულდება გამოძიება, ამაზე ახლა საუბარი იქნება წმინდა წყლის სპეკულაცია, რადგან გამოძიება ისეთი რამაა, რომ დღეს დასრულებული გგონია, მაგრამ შეიძლება ახალმა ჩვენებამ ახალი გარემოება აჩვენოს. ამიტომ, როცა დამთავრდება გამოძიება, მაშინ განვაცხადებთ და მთავარი პროკურორი იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით მთავარი სპიკერი", — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

* * *

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური დევნილია და საქართველოში სიმართლის დასამტკიცებლად დაბრუნდა. ირაკლი ოქრუაშვილს ყველა პირობა შეექმნება იმისთვის, რომ თავისი სიმართლე დაამტკიცოს, ხოლო შიმშილობის აქციები პატიმრებმა უნდა შეწყვიტონ.**

„ირაკლი ოქრუაშვილი იყო და რჩება ჩემს თვალში პოლიტიკურ დევნილად წინა ხელისუფლების მხრიდან, ვინაიდან წინა ხელისუფლებამ ძალით ჩასვა თვითმფრინავში და გააგდო პრაქტიკულად ქვეყნიდან. ეს შეიძლება შეფასდეს პოლიტიკურ დევნად. მისმა ყოფნამ შეაწუხა წინა ხელისუფლება და მოიშორეს თავიდან. რაც შეეხება ამჟამინდელ პატიმრობას, იმის დასადეგნად, არის თუ არა დღეს ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური პატიმარი, საჭიროა, ის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მის დაუსწრებლად წარიმართა, მიყვანილი იყოს ბოლომდე და გაირკვეს სიმართლე. მე როგორც ვიცი, იმისთვის დაბრუნდა სამშობლოში, რომ დაამტკიცოს სიმართლე. ამისთვის ყველა პირობა შეექმნება. რაც შეეხება შიმშილობას, მე არც ერთ პატიმარს შიმშილობას არ ვურჩევ იმიტომ, რომ თავად პატიმრობა არის რთული მომენტი ყველასთვის და შიმშილობით თავის დამძიმება არ ღირს", — განაცხადა თეა წულუკიანმა.




* * *

**ჟურნალისტებმა თეა წულუკიანს კითხვები ბაჩო ახალაიას წინასწარი პატიმრობის ვადებზე დაუსვეს. იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ბრალდების მხარე საკუთარი პოზიციის მომზადებისთვის საჭირო დროს ბოლომდე გამოიყენებს.**

„ბრალდება ცდილობს, რომ მთავარი აქცენტი დარჩეს მტკიცებულებებზე და არა რაღაც ტიპის განცხადებებზე. სანამ ბრალდებას სჭირდება საკუთარი პოზიციისთვის მოსამზადებელი დრო, ეს დრო იქნება ბოლომდე გამოყენებული. რაც შეეხება ბაჩო ახალაიას წინასწარ პატიმრობაში ყოფნას, არაერთი პატიმარი შეხვედრია ახალ წელს ციხეში. ამიტომაც თუ თვითონაც შეხვდება ახალ წელს ციხეში, ამით არაფერი დაშავდება", — განაცხადა თეა წულუკიანმა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბუმერანგი

# ნუ გაუთხრი სხვას სამარეს!

## ადეიშვილი თავისსავე გათხრილ ორმოში ჩავარდა






**„ქართუ ბანკის“ გაკოტრებას სქემა, რომელსაც იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი ხელმძღვანელობდა, გაშიფრულია. ყოფილ „რუხ კარდინალს“ ხელი შემოსავლების სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ჯაბა ებანოიძემ და სამსახურის სხვა თანამშრომლებმა დაადეს. აქედან გამომდინარე, ადეიშვილზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთვის რეალური საფუძველი არსებობს. ალბათ, ეს ასეც მოხდება და, სავარაუდოდ, მასზე ძებნა გამოცხადდება.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „ბანკ ქართუს“ გაკოტრების მიზნით პოლიტიკური თანამდებობის პირების მონაწილეობით ორგანიზებულ-დანაშაულებრივი სქემა მოქმედებდა. შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, სამინისტრომ გამოიძია და გაშიფრა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი სქემა, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

გეგმა მიზნად ისახავდა, ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიმართ ანგარიშსწორების მიზნით, სააქციო საზოგადოება „ქართუ ბანკის“ გაკოტრებას. დანაშაულებრივი სქემა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა.

კერძოდ, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ გააკეთა განცხადება პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვის შესახებ, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა პირველ ეტაპზე შეიმუშავეს და პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც, საგადასახადო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფოს უფლება ეძლეოდა აუქციონის წესით გაეყიდა იურიდიული პირების ქონება, იმის მიუხედავად, რომ ეს ქონება ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით იყო დატვირთული.

იმ მიზნით, რომ „ბანკ ქართუს“ ეს ქონება გონივრულ ფასში არ გამოესყიდა, აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის ნიკოლოზ მელიას უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა აუქციონის ჩაშლა, რის შემდეგაც აღსრულების ეროვნული ბიურო ქონებას გადასცემდა ეკონომიკის სამინისტროს.

ეკონომიკის სამინისტრო კი, პრეზიდენტის ბრძანებულებით ამ ქონებებს ასხვისებდა პირდაპირი მიყიდვის წესით. **„ამ კანონის მიღება გათვლილი იყო მხოლოდ და მხოლოდ „ბანკი ქართუს“ გაკოტრებაზე, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე იმ დროისათვის გახლდათ ბიძინა ივანიშვილი. დანაშაულებრივი სქემის თანახმად, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ იმ ბიზნესმენებს, რომლებსაც საკრედიტო დავალიანება ჰქონდათ „ბანკ ქართუში?, უნდა ეღიარებინათ არარსებული საგადასახადო დავალიანება.**

**ამის შემდეგ, იმ ქონებას, რომელიც ბანკის მიერ იპოთეკით იყო დატვირთული, გაიტანდნენ აუქციონზე, სადაც მყიდველი არ დაფიქსირდებოდა. შემდეგ კი ეკონომიკის სამინისტრო, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასებში გაყიდდა სხვა კომპანიებზე, რომლებსაც სინამდვილეში აკონტროლებდნენ ამავე ქონების ყოფილი მეპატრონეები“,** — აცხადებენ შსს-ში.

განცხადებაში აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით, **ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბიზნესმენებს არც ქონება ეკარგებოდათ და ამ დანაშაულებრივ სქემაში მონაწილეობით, უუქმდებოდათ „ბანკი ქართუს“ საკრედიტო დავალიანებაც, რომლის უზრუნველყოფას სწორედ იპოთეკით დატვირთული ქონება წარმოადგენდა. შესაბამისად, დაზარალებული რჩებოდა „ბანკი ქართუ“, რომელსაც იმ დროისათვის მეწარმე სუბიექტებისათვის მიცემული ჰქონდა 59 მილიონ 997 ათას 363 აშშ დოლარისა და 3 მილიონ 757 ათასი ლარის კრედიტები.**

მაგალითად, **2011 წლის ნოემბრის დასაწყისში, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, ზურაბ ადეიშვილმა საკუთარ კაბინეტში დაიბარა შემოსავლების სამსახურის ყოფილი უფროსი ჯაბა ებანოიძე, გააცნო „ბანკი ქართუს“ გაკოტრების სქემა და დაავალა მისი განხორციელება. თავის მხრივ, ჯაბა ებანოიძემ ამის შესრულება დაავალა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სამმართველოს იმჟამინდელ უფროსს მამუკა ლაშხიას და მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს ოთარ აგლაძეს.**

**აღნიშნული პირები დაუკავშირდნენ ხელისუფლებასთან დაახლოებულ იმ ბიზნესმენებს, რომელთა კომპანიებსაც საკრედიტო დავალიანება ჰქონდათ „ბანკ ქართუში“. ასეთ კომპანიებს შორისაა: მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის-იაგო ჩოჩელის შპს „ინტერპლასტი“, შსს-ს იმჟამინდელი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ერეკლე კოდუას ახლო ნათესავების საწარმოები, სს „პირიმზე“ და შპს „სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ღაჭავა“, მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ხელმძღვანელის გიორგი ისაკაძის საწარმოები: შპს „ლოგოსი“ და ამხანაგობა „თეთრი სახლი“. ყველა კომპანიამ, შემოსავლების სამსახურის მაღალჩინოსნებთან შეთანხმებით, აღიარა არარსებული საგადასახადო დავალიანება.**

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა ფიქციური აუქციონი, სადაც არც ერთი ქონება არ გაიყიდა. ამის შემდეგ ქონება გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს და პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე გაიყიდა პირდაპირი მიყიდვის წესით.

**2012 წლის დასაწყისში იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს დავით გიორგაძეს პირადად დაავალა ყველა ეს ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა იმ კომპანიებისთვის, რომელსაც მას გაუგზავნიდა შემოსავლების სამსახური. ამ გზით, ყველა ქონება გაიყიდა იმ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებზე, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებიან ამავე ქონებების ყოფილ მეპატრონეებს.**

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ყოფილმა უფროსმა ჯაბა ებანოიძემ, ამავე სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა მამუკა ლაშხიამ, მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ ოთარ აგლაძემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ დავით გიორგაძემ და ბიზნესმენებმა ითანამშრომლეს სამართალდამცველებთან და გამოძიებას მისცეს სრული ინფორმაცია დანაშაულებრივი სქემის დეტალების შესახებ.

**„სისხლის სამართლის საქმეში არსებული ჩვენებებითა და უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დანაშაულებრივ სქემაში, რომელიც მიმართული იყო „ბანკი ქართუს“ გაკოტრებასა და მისთვის ფინანსური ზიანის მიყენებაზე, შეთანხმებულად და ორგანიზებულად მოქმედებდნენ ყოფილი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლები. კერძოდ, საქართველოს პარლამენტი, იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, მათში შემავალი სტრუქტურებით და ქვედანაყოფებით. გამოძიება გრძელდება და დამატებით მასალებს საზოგადოებას აუცილებლად გავაცნობთ“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

**შემოსავლების სამსახურის ყოფილი უფროსი ჯაბა ებანოიძე შს სამინისტროს მიერ „ბანკ ქართუსთან“ დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარს არ აკეთებს. როგორც მან აღნიშნა, ამ განცხადებას გაეცნო, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კომენტარს არ აკეთებს. სატელეფონო ზარებს არ პასუხობს გიორგი ისაკაძეც.**

ბიზნესმენი, ლაურა ღაჭავა კი საინფორმაციო სააგენტო „პირველთან“ აცხადებს, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ სურს საუბარი, თუ ვინ დაავალა არარსებული საგადასახადო დავალიანების აღიარება.

**„ძიება მიმდინარეობს. მე ერთხელ უკვე ვიყავი დაკითხვაზე და მთხოვეს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბევრი არ ვისაუბრო. შეიძლება კიდევ დამიბარონ. ერთი რამ კი შემიძლია გითხრათ, რომ ამ საქმეში ორივე მხარე — როგორც „ბანკი ქართუ“, ასევე ჩემი საწარმოები, დაზარალებული ვართ.**

**ეს ყველაფერი ზემოდან იყო დაგეგმილი. ვინ იყო დამკვეთი და რა მოხდა, გამოძიებამ ჩემზე უკეთ იცის. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ „ბანკ ქართუში“ სესხი მაქვს გასასტუმრებელი, რომელზეც იმის გამო, რომ 2011 წლის დეკემბრიდან არ ვიხდიდი, საურავებიც არის დარიცხული და ვიზარალე“,** — განაცხადა ღაჭავამ.

იგი „ქართუ ბანკის“ მიმართ არსებული 397 302,85 ლარის ვალდებულების დაფარვისთვის მზადაა. მისი თქმით, მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შპს „პირიმზესა“ და შპს „სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ღაჭავას“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შეწყდა.

**„საბჭოს გადაწყვეტილებით, შემოსავლების სამსახურის მიმართ არსებული 24 269 502,19 ლარის ვალდებულება გამიუქმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ ადგილზე გადმოვიდა „ქართუ ბანკის“ ვალდებულება, რომელიც 397 302,85 ლარს შეადგენს. მე მზად ვარ, აღნიშნული თანხა კანონის თანახმად, დავფარო“,** — აღნიშნა ბიზნესმენმა.

ლაჭავას თქმით, შემოსავლების სამსახურის მიმართ 24 მლნ-ზე მეტი ვალდებულება ხელოვნური და უკანონო იყო და ის ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სასამართლომ გაუუქმა.

**ეკა ბაქრაძე**

ალიან-ჩალიანი

# საპატრულო პოლიციაში აღდგენილი თანამშრომლები მუშაობას უკვე შეუდგნენ

**ივნისში საპატრულო პოლიციიდან გათავისუფლებული 50-ზე მეტი თანამშრომელი სამსახურში აღადგინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში დაბრუნებულმა ერთ-ერთმა პოლიციელმა ალექსანდრე გოგიჩაიშვილმა განუცხადა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სამსახურში აღდგენის თხოვნით განცხადება დაწერეს, სპეციალური კომისიის მიერ პირადი საქმის განხილვის შემდეგ კი, ყველა მათგანი უწყებაში დააბრუნეს.**

**— ახალი ხელისუფლების პირობებში სამართლიანობა აღდგა და ყველანი უწყებაში დაგვაბრუნეს. განიხილეს ჩვენი განცხადებები, ობიექტურად შეაფასეს ყველაფერი, რომ ჩვენ პოლიტიკური ვითარების ფონზე ვიყავით გაშვებული და სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებები. ზოგიერთი ნათესავისა და ახლობლის პოლიტიკური შეხედულებების გამო გაგვწირეს. ეს ყველაფერი გაირკვა, ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდა და აბსოლუტურად ყველანი აღგვადგინეს სამსახურში, უკვე ვმუშაობთ, ფორმა გვაცვია, — განმარტა ალექსანდრე გოგიჩაიშვილმა.**

**მან საპატრულო პოლიციის თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით დეტალებზეც ისაუბრა.**

**— თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსმა ზურაბ ვახტანგიშვილმა თათბირზე გვითხრა, სამინისტროში სტრუქტურული რეორგანიზაციაა, პატაკის დაწერის შემდეგ კვლავ დაგიბარებთ და სხვა სამმართველოში გადაგიყვანთო. ასე მოგვატყუეს. პატაკი ჩემმა 250-მა თანამშრომელმა დაწერა, სამი დღის შემდეგ კი დაახლოებით 50 კაცი დაგვიბარეს და გვითხრეს, თქვენივე განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული ხართო, რას გვერჩით-მეთქი, ვიკითხეთ და გვიპასუხეს, ქვეყნის განვითარებაზე არა გაქვთ ისეთი წარმოდგენა, როგორიც უნდა გქონდეთ, თქვენ „მეოცნებე თვალები“ გაქვთ, ოცნებობთ, თქვენი შეხედულებები ეწინააღმდეგება ჩვენს პოლიტიკურ კურსს, თქვენი ცოლისდა არის „ქართულ ოცნებაში“, თქვენი მამა დადის მიტინგებზე, — განმარტა გოგიჩაიშვილმა.**

**გათავისუფლებული პოლიციელები უმუშევრობის პერიოდში ფონდ „ქომაგის“ დახმარებას იღებდნენ.**

**ამასთან, ივნისის თვეში გათავისუფლებული 50-ზე მეტი თანამშრომლის უწყებაში დაბრუნებას ადასტურებს შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი. მისი თქმით, შსს-ში არა მარტო ივნისის თვეში გათავისუფლებული პოლიციელები დააბრუნეს, არამედ ის თანამშრომლებიც, რომლებიც უწყებიდან მანამდე დაითხოვეს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№243. ოთხშაბათი, 19 დეკემბერი, 2012 წელი.

## სოდომი და გომორა



# ქამინ-გაუტისტები,

## ანუ ბიოლის ფონდის ვნებანი...

**თბილისში ბიოლის ფონდის არსებობის შესახებ პირველად, ა.წ. მაისში შევიტყვე — სწორედ იქ გაიმართა მაშინ ქართველი „ლგბტ“, ჩვენებურად, ანუ უფრო გასაგებ ენაზე, პედერასტების სახელდახელო „სხოდკა“ და მეორე დღეს, 17 მაისს, გეი-პარადის ჩატარებაც დათქვეს..**

**რატომ ასეთი ფორსმაჟორული ფართიფურთი? იმიტომ, რომ წარსულის „მწარე გამოცდილებამ“ ასწავლათ — რამდენჯერაც წინასწარ დაუანონსეს ქართველ საზოგადოებას მოსალოდნელი გეიპარადის დრო და ადგილი, იმდენჯერ მოესწრო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, მართლმადიდებელმა ეკლესიამაც გამოხატა ერთმნიშვნელოვანი უარყოფითი დამოკიდებულება სოდომის ცოდვის პროპაგანდის მიმართ და ამიტომ, გასულ მაისამდე, ვერც ერთხელ ვერ აასრულეს დანაქადები.**

იმ ვარდობისთვეს კი საზოგადოებას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა პედერასტების განაზრახვაზე და სცადეს კიდეც ალლუმის გამართვა. თუმცა, რაღა სცადეს? იმის მიუხედავად, რომ ფილარმონიასთან დაწყებული, რუსთაველის გამზირი ბოლომდე ვერ ჩაიარეს, რადგანაც კინოს სახლთან „დაატორმუზეს“ აზრზე მოსულმა გამვლელ-გამომვლელებმა, შეიძლება ითქვას, რომ გეი-პარადი, ასე თუ ისე შედგა!

თუნდაც იმიტომ, რომ ზემელზე „დარბეულ“ პედერასტებს მეორე დღესვე გამოუცხადა სოლიდარობა თბილისში აკრედიტირებული დიპკორპუსის ლიბერასტულმა ნაწილმა არც მეტი, არც ნაკლები, ქართველ პედერასტებთან ერთად, რუსთაველზე, მაშინ ჯერ კიდევ პარლამენტის შენობის წინ მანიფესტაციაში მონაწილეობის სახით...

> **„ჰაინრიხ ფიოდორ ბიოლი (დ. 21 დეკემბერი, 1917 — გ. 16 იანვარი, 1985) — გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. ვილჰელმ კაიზერის გიმნაზიის დასრულების შემდგომ ჯერ დურგლად მუშაობდა, მერე — წიგნების მაღაზიაში. ლექსებსა და მოთხრობებს სკოლაშივე წერდა. 1930 კელნის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. შემოდგომაზე კი მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ჯერ საფრანგეთში იბრძოდა, მერე — უკრაინის ფრონტზე. ომის დროს, 1942 წელს, იქორწინა ანა-მარია ჩეხზე, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა. 1945 წელს ამერიკელებს ტყვედ ჩაუვარდა. დურგლობა ტყვეობის შემდგომაც გაიხსენა, თუმცა კი მალე კელნის უნივერსიტეტს დაუბრუნდა. მისი ნაწარმოებები 1947 წლიდან იბეჭდება და ამ დროიდანვე პოპულარული ხდება. წლების განმავლობაში დასავლეთ ევროპის მწერალთა გაერთიანების — პენკლუბის თავმჯდომარე იყო. მეორე მსოფლიო ომგამოვლილი თავგამოდებით აკრიტიკებდა, საზოგადოდ, ყოველგვარ ძალადობას, განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიდა დევნილთა პრობლემებს. საქართველოს ორჯერ ესტუმრა — 1966 და 1972 წლებში“.**

ამ ე.წ. „ვიკიპედიიდან“, არაფერი მიანიშნებს ნობელიანტი მწერლის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე (თუმცა, ვინ იცის). მაგრამ ამის „გონივრული ეჭვი“ გამიჩნდა იმის გამო რომ, სწორედ ბიოლის ფონდი გამხდარა ქართველი პედერასტების თავშეყრის ადგილად. იქ გასულ კვირას ერთი მეგობრის „ნავოდკით“ მივედი — ე, ბიჭო, რაღაცა ფილმის ჩვენება იქნება ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ და იქნება მიხვიდე, ნახე, ვინ იქნებიან ე.წ. ცნობადი სახეებიდან, ერთი სიტყვით, იქნება რამე სტატია გააკეთო, დასწრება თავისუფალიაო. მეც წავედი და, ზოვრეთის ქუჩის 38-ში მდებარე სამსართულიან ფეშენებელურ (!?) აპარტამენტებს მივადექი...

თავიდან ხალვათობა იყო, ერთი-ორი ბიჭად გადაცმული გოგოს (თუ პირიქით) მეტი ვერავინ დავლანდე და „პრემიერის“ მოლოდინში კედელზე გაკრული სტენდების თვალიერება დავიწყე, რომლებზეც ბიოლის საქართველოში სტუმრობის ამსახველი მომენტები იყო: ჰაინრიხ ბიოლი სტუმრად ლადო გუდიაშვილთან, პოეტ იოსებ ნონეშვილთან... როგორც წესი, ამ ფოტოებზე გერმანელი სტუმრის მთავარი მასპინძელი, ბრწყინვალე გერმანისტი, ნოდარ კაკაბაძეც ფიგურირებდა. რისი თქმა უნდათ ამ სტენდებით? **ნუთუ იმისი, რომ: აი, ნახეთ როგორ დიდ ქართველებთან მეგობრობდა ჰერ ჰაინრიხი, ისინი რომ ცოცხლები იყვნენ, ქართველ პედერასტებს გვერდში დაგვიდგებოდნენო?**

არ ვიცი. თუმცა, ბატონი ნოდარის ძმისწული ნინია კაკაბაძე მართლაც გვერდში უდგას „დედალ-მამალ“ პედერასტებს იქამდეც კი, რომ სოლიდარულად აცხადებს — **ჩემი ვაჟი რომ გათხოვდეს, პატივს ვცემ მის არჩევანსო!..**

რას იზამ, ეს ის შემთხვევაა, როცა — „ერთი მახინჯი შეიძლება ყველა ოჯახში გამოერიოს“, მათ შორის, ცხონებული ნოდარ კაკაბაძის და დიდი ჭაბუას ოჯახებშიც — **პირველი ბიძა, ალბათ, საფლავში ბორგავს და მეორეს სააქაოში მოეწამლა სიბერე ნინიას გამონათქვამების და, აქედან გამომდინარე, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ გამოხდომების გამო...**

ამასობაში „ლგბტ“ პედერასტები თუ მათი გულშემატკივარი ახალგაზრდებიც მოქუჩდნენ და ფილმის ჩვენებაც დაიწყო.

**დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო — სწორედ იმ, წერილის თავში ნახსენები, 17 მაისს გამართული გეი-პარადის ამსახველი, ჩემთვის კარგად ნაცნობი კადრებით დაიწყო.** ნაცნობი არა მხოლოდ იმიტომ, რომ მრავალჯერ მქონდა ნანახი, არამედ იმიტომაც, რომ იმ „აზრზე მოსულ გამვლელ-გამომვლელებში“, რომლებიც წინ გადაეღობნენ „დომ კინოსთან“ პარადს, ერთ-ერთი მეც გახლდით. უფრო სწორად, წინააღმდეგობის მოძრაობის ბიჭებთან ერთად, მე და სოსო მანჯავიძე ვიყავით იმ ალლუმის „დატორმუზების“ მთავარი ფიგურანტები!

იქამდეც კი, რომ მეორე დღეს სიმბოლურად, მაგრამ მაინც დასაჯეს სოსო მანჯავიძე 100 ლარი ჯარიმით, მსუბუქი ალიყურისთვის, რომელიც მამაშვილურად „აჭამა“ ერთ პედერასტს, რომელიც პატრულს ეძახდა თქვენი მონა-მორჩილის დასაპატიმრებლად, რომელმაც მცირედი „სისხლიც დავღვარე“ — თითი შევახიე რა ტრანსპარანტის ლურსმანს, „შენც გაფერადდიო“ რომ მომიწოდებდა...

ჰოდა, როდესაც ეკრანზე წამით გაიელვა ჩემმა გამოსახულებამ, თავი ზვიადაურივით ქისტეთში შეპარულად ვიგრძენი. ვიფიქრე, სოსოს რა ენაღვლება, ზის ახლა არხეინად „ობიექტივში“ და მე რა ვქნა, იმ გაელვების შემდეგ ის კადრებიც, რომ გამოჩნდეს სადაც „საპოჟნიკივით“ ვიგინები და შემდეგ გასისხლიანებული ხელით ინტერვიუს ვაძლევ, რომ მიცნოს ვინმემ, როგორც ზვიადაური მუსამ, ხომ დავილუპე ძირიან-ფესვიანად-მეთქი და ჩაბნელებულ დარბაზში უჩუმრად პირჯვარი გადავიწერე...

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ეკრანზე არც მე და არც სოსო მანჯავიძე, რაიმე „კომპრომატში“ აღარ გამოვჩნდით, თორემ გადაწყვეტილი მქონდა, „გაშიფვრის“ შემთხვევაში ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ გმირივით — გახლავართ ზვიადაური, ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო, ხმამაღლა შემეძახა და...

აი, ამიტომ „საუბედუროდ“, რადგან იმას მაინც ხომ იტყოდა ცხონებული დედაჩემი იმქვეყნად — ერთი შვილ მაინც გავზარდე გეებთან მეომარიაო და ეს ხომ ერთ რამედა ღირს?..

მაგრამ, მოდით, გვეყოფა ლადაობა და ფილმს დავუბრუნდეთ, რომლის სიუჟეტიც მარტივი იყო — იმ გეი-პარადის ფონზე, შიგადაშიგ საკუთარ თავზე „გულისამაჩუყებლად“ საუბრობდა ორი ახალგაზრდა პედერასტი და ერთი ლეზბიანკა. ოღონდაც დედლები იყვნენ თუ მამალები, ამაზე არაფერი უთქვამთ. სამაგიეროდ, იმაზე მოთქვამდნენ, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისიც აღიარეს, რომ მათ უფლებას კურტუმოების ქნევაზე არავინ ზღუდავს საქართველოში, მაგრამ არაო, ეგ აღარ გვაკმაყოფილებს და დროა, ქართველმა საზოგადოებამაც სიყვარულით გვიყუროს, თორემ, რას იტყვის ევროპა-ამერიკაო და ა.შ. ნაცნობი პედერასტული ლირიკა...

### ქამინგაუტი ...

**აბა, ვინ გამოიცნობს, რას ნიშნავს ეს სიტყვა? ვიცი, ჯერ „კოჰაბიტაცია“ ვერ მოგვინელებია, ამიტომ აღარ გაწვალებთ და გეტყვით, რომ „ქამინგაუტი“ თურმე იმას ნიშნავს, როდესაც პედერასტი გადაწყვეტს „ჩრდილიდან გამოსვლას“ და საკუთარ ახლობლებს თუ ნაცნობებს ამაყად განუცხადებს — მე პედერასტი ვარ!**

ჰოდა, ეს სიტყვა, როგორც ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ „აწვებიან“ „კოჰაბიტაციას“, ასევე ხშირად ისმოდა ფილმის გმირი პედერასტებისგაც, რომელთაგან ერთ სიმწრის ღიმილის მომგვრელ მაგალითს მოვიყვან:

**ერთმა ჯეელმა, მეო, ბებიაჩემს გავუკეთე (ზუსტად ასე თქვა) ქამინგაუტიო, ანუ, ბებიკო, შენი შვილიშვილი პედერასტი ვარო. მისმინა ბებომ, მისმინა და მერე მითხრაო — შვილო, ეგ კარგი, მაგრამ ცოლი როდის უნდა მოიყვანოო? რასაც, სიმწრის კი არა, ირონიული სიცილ-კისკისი მოჰყვა დარბაზში, საწყალი ბებოს „გაუნათლებლობის“ გამო.**

არც იმის გამო ყოფილა დარბაზში სინანულის რეაქცია, როდესაც იგივე ჯეელმა აღიარა — **ქამინგაუტი არ უნდა გამეკეთებინა ბებიაჩემისთვის, რადგანაც ამის შემდეგ მალევე გაუსკდა გული და მიიცვალაო...**

თუმცა, სხვებისთვის, მშობლებ-ძმაკაცებისთვის გაკეთებული ქამინგაუტები ლეტალური შედეგებით არ დამთავრებულა — **რას იზამს მამაჩემი, ცოტა იბუზღუნა, მაგრამ შვილი ვარ და რა უნდა ქნას, ხომ არ მომკლავსო, ძმაკაცებმა ერთი კი მისაყვედურეს, ეგ რა გვიქენი ბიჭოო, მაგრამ დღესაც ვძმაკაცობთო!..**

ბათუმში, 2 წლის წინათ დაგეგმილი გეი-პარადიც გაიხსენეს ფილმის გმირებმა — ტყუილი იყო ეგ ამბავი, არაფერი დაგვიგეგმავსო და **ბათუმის ქუჩებში გამოსული სამღვდელოების კადრებს, რომლებიც მამაო ჩვენოს კითხულობდნენ და ლიტანიობდნენ, დარბაზმა აშკარად გამოხატული აგრესიული რეაქციით უპასუხა.** ისევე, როგორც ყველა კადრს, სადაც ჩვენი „ჩამორჩენილ-გაუნათლებელი“ სამღვდელოება გამოჩნდებოდა.

ჩვენო, მართალია, პედერასტები ვართ, მაგრამ მაშინ, 2010-ში ბათუმში, რა დროს პარადი იყო, რუსეთ-საქართველოს ომი ხომ ახალი მომხდარი იყო, პატრიოტობაც დაიჩემეს!?

ჰოდა, ახლაც, მართალია, ომი „კაი ხნის“ ჩავლილია, მაგრამ, კობა დავითაშვილის პრეზერვატივებისა არ იყოს, რა დროს „ქამინგაუტებია“, არჩევნების მერე ქვეყანა ფეხზეა დასაყენებელი. აი, ჯერ ნაცები გავუშვათ ბოლომდე და მერე, ოღონდაც ბებია-ბაბუებს თავი დაანებეთ, მაინც ცოდოები არიან და ერთმანეთს რამდენიც გენებოთ იმდენი „ექამინგაუტეთ“ — სიყვარულს ვერა, მაგრამ უვნებელ კოჰაბიტაციას (როგორც იტყვიან, ჩვენ, ჩვენი „კრუგი“ და თქვენ, თქვენი) ნაღდად გპირდებით ქართველო პედერასტებო!

**თუმცა, „გონივრული ეჭვი“ არსებობს იმისა, რომ სწორედ ახლა გააქტიურდებიან და პარადების საღერღელი აეშლებათ, რადგან იქნება, ვინმემ დაარბიოს (ასეც იქნება, ალბათ), რაზედაც ახალ ხელისუფლებას, მიუხედავად მისი სიჭრელისა, დასავლეთის მოსაწონი რეაქცია ვერ და არ ექნება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით (ისევე როგორც არ მოსწონთ „ქართული ოცნების“ პასიურობა ე.წ. რელიგიური უმცირესობების ვითომდაც უფლებების დარღვევის მიმართ), რაც მორიგი „შეშფოთების“ საბაბს მისცემს ჩვენს „დასავლელ მეგობრებს“ — ნაცების ფაშისტური ბანდის ნარჩენებს, ხლისტებისა და პედერასტების გარდა, რეალურად ხომ აღარავინ უჭერს მხარს!..**

**დავით მხეიძე**

## ალიან-ჩალიანი

### იაგო ჩოჩელის, ლაურა ღაჭავასა და გიორგი ისაკაძის კომპანიები მზად არიან, ბანკ „ქართუს“ ზარალი აუნაზღაურონ

**კომპანიათა ნაწილი, რომლებიც შსს-ის ინფორმაციით, ბანკ „ქართუს“ გაკოტრების დანაშაულებრივ სქემაში ყოფილ მაღალჩინოსნებთან ერთად მონაწილეობდა, მზად არის, ბანკს მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ქართუ ჯგუფის“ იურიდიული განყოფილების უფროსმა ალა კახნიაურმა განუცხადა.**

**მისივე განმარტებით, ბანკ „ქართუსთვის“ საკრედიტო დავალიანების დაფარვის მზადყოფნას ამ ეტაპზე გამოთქვამენ მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის იაგო ჩოჩელის შპს „ინტერპლასტი“, შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ერეკლე კოდუას ახლო ნათესავების საწარმოები — ს/ს „პირიმზე“ და შპს „სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ღაჭავა“ და მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ხელმძღვანელის გიორგი ისაკაძის საწარმოები შპს „ლოგოსი“ და ამხანაგობა „თეთრი სახლი“ .**

**— ისეთი საწარმო, რომელსაც ბანკ „ქართუს“ წინაშე დავალიანება აქვს, სულ 21-ია, აქედან, როგორც მე ვიცი, იაგო ჩოჩელის, ლაურა ღაჭავასა და გიორგი ისაკაძის კომპანიები მზად არიან, ბანკის სასარგებლოდ ისევ დატვირთონ ის ქონება, რაც მათ მიერ დანაშაულებრივ სქემაში მონაწილეობით იყო წაღებული და სრულად აუნაზღაურონ ყველანაირი ზარალი, რომელიც ბანკს ამ დანაშაულებრივი ქმედების გამო მიადგა, — განმარტა ალა კახნიაურმა.**

**ამასთან, „ქართუ ჯგუფის“ იურიდიული განყოფილების უფროსის თქმით, გამოძიების ფარგლებში აღნიშნული კომპანიების ხელმძღვანელები უკვე დაიკითხნენ.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბანკ „ქართუს“ გაკოტრების მიზნით, ორგანიზებულ-დანაშაულებრივი სქემა მოქმედებდა, რომელშიც პოლიტიკური თანამდებობის პირების გარდა, ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენებიც მონაწილეობდნენ.**

**ინტერპრესი**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გაძვირებული განათლება?

## გიორგი მარგველაშვილი:

# თუ ამერიკაში 40 ათასი ღირს განათლება, საქართველოში რატომ უნდა გვეგონოს, რომ 3 ათასი დასჭირდება?!

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასური იზრდება, სოციალურ ქსელებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. უკვე შეიქმნა სპეციალური ფეისბუკ-გვერდი, სადაც მინისტრის ამ განცხადებას აპროტესტებენ. ქსელის მომხმარებლები ამბობენ, რომ ისინი პირიქით, გადასახადის შემცირებას ელოდნენ. ამ საკითხზე „მედიანიუსი" განათლების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს ესაუბრა.**



— არ ვიცი, ფეისბუკზე რა წერია. რას აპროტესტებენ, რა არ მოსწონთ?

**— არ მოსწონთ თქვენი განცხადება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადი ძვირდება.**

— არ ვიცი. მე მიჭირს ასეთ არგუმენტებთან კამათი, იმიტომ, რომ აზრს ვერ ვხედავ. მე მგონია, რომ საქართველოში ის ფული, რომელიც სტუდენტებზე და მეცნიერებაზე იხარჯება, არის არასაკმარისი. არსებული ბიუჯეტის ფარგლებში სამინისტრომ მოახერხა და ორჯერ მეტი ფული გამოყო სტუდენტებისთვის და, შესაბამისად, უმაღლესებისთვის. იმედი გვაქვს, რომ ეს რაღაცა პოზიტიურს გამოიწვევს როგორც უმაღლესების, ისე მათი სტუდენტებისთვის. თუ ეს ვინმეს არ მოსწონს, ანუ ის, რომ სახელმწიფო მეტ ყურადღებას აქცევს განათლებას, შესაბამისად, სტუდენტებს და პროფესურას, მაშინ დიდი სიამოვნებით დავინტერესდები ამ გვერდით და ვნახავ, მაგრამ ჯერჯერობით ძალიან რთულია წარმოვადგინო და ჩამოვაყალიბო კონკრეტულად, ვინ მეუბნება, რომ სტუდენტებს და მეცნიერებს საქართველოში თურმე ნაკლები ფული უნდა მივცე.

**— გამოდის, რომ არასწორად იქნა თქვენი განცხადება გაგებული? დღეისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასური 2250 ლარია, ადამიანებმა იფიქრეს, რომ თქვენ ამ გადასახადის კიდევ უფრო გაძვირებას აპირებდით...**

— ეს გადასახადი იზრდება, ბუნებრივია, ორჯერ მეტ ფულს ვატან-მეთქი და აბა რას ვამბობ?! მე ეს მიმაჩნია მიღწევად, რომ ორჯერ მეტ ფულს ვატან თითო სტუდენტს და მე მგონია, რომ კარგს ვაკეთებ და ვის მიაჩნია, რომ ცუდს ვაკეთებ?! იქნებ ვინმემ მითხრას! ვინ დამიმტკიცებს, რომ 2250 ლარი თურმე არის ძალიან ბევრი და უნდა მივცე 1050 ლარი და არა 5000 ლარი, როგორც მე ვგეგმავ.

**— მაშინ რა ეშველება იმ სტუდენტებს, ვინც სახელმწიფო დაფინანსებას, ანუ გრანტს ვერ მოიპოვებს?**

— ასეთი სტუდენტების თემა განსახილველია იმ უმაღლესებთან... ისინი ავტონომიური ერთეულები არიან. მე რაც შემეძლო სახელმწიფო ბიუჯეტის მობილიზაცია, ორჯერ უფრო მეტი ფული ჩავდე და დანარჩენი შეკითხვები ჩემთან არის? მე მოვიძიე მეტი ფული, მეგონა, რომ ეს ჩემი ფუნქციაა და თუ ჩემი ფუნქციაა ის, რომ უმაღლესებს ფული ჩამოვაჭრა, ეგ მე არ მეგონა. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ განათლების სამინისტრომ განათლებას უნდა მოაკლოს ფული და რაღაც სხვა მიმართულებით მიმართოს, შემოვიდეს ჩემთან დებატებში და დიდი სიამოვნებით მათ ვეკამათები. მე მართლა მიმაჩნია, რომ თუ ამერიკაში 40 ათასი ღირს განათლება, საქართველოში რატომ უნდა გვეგონოს, რომ ამ განათლებას 3 ათასი დასჭირდება, მე ბოლომდე ვერ ვხვდები.

**— ბატონო გიორგი, კოალიცია „ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამაში განათლების თავს ასე ერქვა „ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება ყველას". გასაგებია, რომ თქვენ აკეთებთ აქცენტს ხარისხზე, მაგრამ ხელმისაწვდომობას რა ეშველება?**

— როგორ არ ვაკეთებ ხელმისაწვდომობაზე აქცენტს?! ის, ვინც მაკრიტიკებს, სამინისტროს ფუნქციებიდან გამომდინარე უნდა მაკრიტიკოს. სამინისტროს საქმიანობა გამოიხატება იმაში, ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით რომ მეტი ფულის მობილიზაცია მოახერხა ამ მიმართულებით. სხვანაირად სამინისტრომ როგორ გაზარდოს ხელმისაწვდომობა ან ხარისხი?!

**— აქ საუბარია იმ სტუდენტებზე, რომლებიც 100-პროცენტიან ან 70-პროცენტიან სახელმწიფო გრანტს ვერ მოიპოვებენ და მოუწევთ თვითონ გადახდა. მათზეა ლაპარაკი...**

— ამ ადამიანებთან დაკავშირებით სხვა საკითხია სალაპარაკოდ. მე კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ორჯერ მეტი ფული მოვიპოვე ქართველი სტუდენტობისთვის. ახლა ცალკეულ სეგმენტებზე ლაპარაკი შეიძლება ცალკეულ კონტექსტებში. შეგიძლიათ მითხრათ, როგორ უნდა გამეზარდა სხვანაირად ხელმისაწვდომობა თუ არა მეტი რესურსის მობილიზაციით?! დანარჩენ საკითხებზე თუ მოლოდინი არის, რომ მე მოვახერხებ, რომ ნაკლებ ფასად უფრო ხარისხიანი ლექციები წაიკითხონ უმაღლესებში და ეს რამენაირად მინისტრს ხელეწიფება, ვისაც ასეთი თეორია აქვს, ძალიან დიდი სიამოვნებით მოვისმენ ასეთ თეორიებს და მეტიც, თუ შესაძლებელია, რომ ფულის მობილიზაციის გარეშე ამაღლდეს ქართული განათლების ხარისხი, დიდი სიამოვნებით მოვისმენ ამ თეორიებს, მაგრამ მე უბრალოდ არ ვიცი, არ ვიცნობ ბუნებაში ამ თეორიებს.

პროექტი სიღარიბეს ებრძვის

# USAID ხელს უწყობს სტიქიით მიყენებული ზარალის რეაბილიტაციას



**დუშეთის რაიონის სოფელ ბულაჩაურში USAID მისიის ხელმძღვანელი სტივენ ჰეიკინი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ტრიპოლსკი, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილე ნუნუ მღებრიშვილი და დუშეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში სეტყვისგან დაზარალებული ექვსი თემიდან ერთისათვის მულტიმინერალური საკვები ბლოკების დარიგებას.**

მათ ასევე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარე მაია სიდამონიძესთან ერთად გახსნეს CombiMap-ის სუვენირების საწარმო სოფელ არაგვისპირში.

ბულაჩაურში, ერთ-ერთში დუშეთისა და თიანეთის იმ ექვსი თემიდან, რომლებიც 2012 წლის ივლისის სეტყვამ მძიმედ დააზარალა, დაარიგეს მულტიმინერალური საკვები ბლოკები, რაც დაეხმარება ზამთრის პერიოდში საქონლის გამოკვების პროცესს. საკვები ბლოკები შეამცირებს იმ ფურაჟის რაოდენობას, რომელიც ესაჭიროებათ ძროხებს, და ასევე გაზრდის რძისა და ხორცის წარმოებას. ასევე წამოიწყეს სოფლის მეურნეობის რეაბილიტაციის ორი დამატებითი ინიციატივა, რაც მოიცავს სათბურების დამონტაჟებას, რათა აწარმოონ ბოსტნეულის ჩითილები იმ ოჯახებისათვის, რომლებმაც სეტყვის შედეგად დაკარგეს საკუთარი მოსავლის 50 პროცენტზე მეტი და დაარიგეს სათესლე კარტოფილი, რათა აღდგეს კარტოფილის წარმოება რეგიონში. მთლიანობაში, რეაბილიტაციის შემდგომი ეტაპის ფარგლებში მხარდაჭერა გაეწევა 1 617 ოჯახს.

რეაბილიტაციის გარდა, დუშეთის მუნიციპალიტეტის წყალდიდობისაგან დაზარალებულ სოფლებში — არაგვისპირსა და მაღაროსკარში დააფინანსებს, წყალდიდობისაგან დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობების პრევენციულ მოვლა-ექსპლუატაციასა და რეაბილიტაციას, რათა სამომავლოდ წყლის ადიდების შემთხვევაში დაცული იყოს რისკის ქვეშ მყოფი 470-მდე ოჯახი, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, სკოლები, სოფლის შიდა გზები და საქართველოს სამხედრო გზატკეცილი.

არაგვისპირში, USAID გახსნის სუვენირების თანამედროვე საწარმოს, რომელიც ეკუთვნის შპს CombiMap-ს და რომელიც დაფინანსებულია პროექტის საგრანტო პროგრამის ფარგლებში. ახლად შექმნილი ადგილობრივი სუვენირების საწარმო დაამზადებს მაღალხარისხიან სუვენირებს ქართული ტურისტული ბაზრისათვის და შექმნის ოც ახალ სამუშაო ადგილს.

ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების (NEO) ინიციატივის პროექტს, USAID-ის მეშვეობით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აფინანსებს. პროექტი შემუშავებულია საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და თემების მოსახლეობის დახმარების მიზნით, რათა შესაძლებელი გახდეს ჩართვა ეკონომიკური ბაზრების საქმიანობებში, ინვესტიციების მოზიდვა, და ასევე, ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განსაზღვრა და განხორციელება, რომელთაც პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი ექნებათ.

იგი დაეხმარება საქართველოს ათი მუნიციპალიტეტის (დუშეთი, ყაზბეგი, ქარელი, გორი, ხაშური, ონი, ცაგერი, ლენტეხი, ზუგდიდი და წალენჯიხა) 85 შერჩეული თემის 70 000 ოჯახს, რომელთაგან ბევრი სოციალურად დაუცველია. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სიღარიბის შემცირებას, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებას, იძულებით გადაადგილებული პირების ჩათვლით, და გააძლიეროს ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობა თემების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

**ნატა ნიბლაძე**




ინფორმაცია

# ნალექიანი ამინდები კვირის ბოლომდე შენარჩუნდება

**სინოპტიკოსები ყინვების შესუსტებას 20 დეკემბრიდან ვარაუდობენ. როგორც „ინტერპრესნიუსს" მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან აცნობეს გუშინ თოვდა დასავლეთ საქართველოშიც. კერძოდ, ფოთსა და ხულოში. კოლხეთის დაბლობზე ქროდა ძლიერი ქარი. ქარის სიჩქარე ყველაზე ძლიერი ქუთაისში დაფიქსირდა — 27მ.წამში.**



**აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან ყინვებია, თუმცა, წინა დღესთან შედარებით შესუსტებული იყო. კერძოდ, გასულ ღამით წალკაში -15 გრადუსი იყო, საგარეჯოში -10, თელავში -6, თბილისში - 6, გორსა და აგარაში კი -7.**

**დღეისთვის აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 2 გრადუსით დათბება. ღამით კი ყინვა შესუსტდება. აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ -1;-6 გრადუსი იქნება, მათ შორის თბილისში -2.**

**19 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, მათ შორის თბილისში, იქნება მცირე თოვლი, მოსალოდნელია ღამით ყინვა -3 გრადუსი, დღისით +5 გრადუსი.**

**სინოპტიკოსები 20 დეკემბრიდან დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად დათბობას პროგნოზირებენ. დაბლობში დღისით ჰაერის ტემპერატურა +19 გრადუსი იქნება, აღმოსავლეთში კი +10.**

**21 დეკემბერს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე წვიმაა მოსალოდნელი, მთაში და მაღალმთაში — თოვლი. ნალექიანი ამინდები ქვეყანაში კვირის ბოლომდე შენარჩუნდება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ინფორმაცია

### „თავისუფალი საქართველო“ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სახელმწიფო დროშის გამოყენების აკრძალვას ითხოვს

„თავისუფალი საქართველო“ ხელისუფლებას სთხოვს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აეკრძალოს პარტიულ დროშად სახელმწიფო დროშის გამოყენება. როგორც დღევანდელ პრესკონფერენციაზე „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ალექსანდრე შალამბერიძემ განაცხადა, უკვე წლებია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო დროშას იყენებს, რაც კანონდარღვევაა და ამისთვის საკანონმდებლო ცვლილება უნდა განხორციელდეს. მისი თქმით, „თავისუფალმა საქართველომ“ პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის საკითხების განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას უკვე მიმართა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წლების განმავლობაში თავის პარტიულ დროშად იყენებს საქართველოს სახელმწიფო დროშას. ეს არღვევს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო დოკუმენტებს, — განაცხადა ალეკო შალამბერიძემ.

პრესკონფერენციას „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრმა ზაზა აბაშიძეც ესწრებოდა, რომლის განცხადებით, საქართველოს პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის საკითხების განსახილველმა მუდმივმოქმედმა კომისიამ „თავისუფალი საქართველოს“ მიერ პარლამენტის წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება შეისწავლა და დადებითი დასკვნა გამოსცა.

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლები აცხადებენ, ხვალ საპარლამენტო კომიტეტები აღნიშნული წინადადებების განხილვას დაიწყებენ.

### ბინათმშენებლობით დაზარალებულებმა კანცელარიასთან აქცია გამართეს

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულები ბიუჯეტიდან კომპენსაციისთვის 50 მილიონი ლარის გამოყოფას ითხოვენ. კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ცენტრ „ერთობის“ წევრებმა მთავრობის კანცელარიასთან გუშინ ბიუჯეტიდან 50 მილიონი ლარის გამოყოფის მოთხოვნით აქცია გამართეს. მათ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სახელზე მიმართვა შეიმუშავეს და კანცელარიის მისაღებში დატოვეს.

„90-იან წლებში საქართველოს მასშტაბით 9000-მდე ოჯახმა შეიტანა კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში ფული. დღეს ისინი სახლის გარეშე არიან დარჩენილები. ჩვენ 2013 წლის ბიუჯეტიდან 50 მილიონის გამოყოფას ვითხოვთ, რათა დაზარალებულებმა კომპენსაცია მიიღონ“, — განაცხადა „ერთობის“ კოორდინატორმა ლაშა გეგეჭკორმა.

როგორც კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირები აცხადებენ, მათ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, პირადად ბიძინა ივანიშვილისგან მიიღეს დაპირება, რომ მათი პრობლემა მოგვარდებოდა.

ინტერპრესი



ასე გამოიყურება დილმიდან „ივერიის“ წინა მოედანზე დასაბრუნებელი დავით აღმაშენებლის ძეგლის ახალი პროექტი.

# როცა სიკეთეს ბოროტების დამარცხება უძნელდება...

**I.**

**1982 წლის 5 ნოემბერია.**

ქუთაისური ქარი და ნესტი ძვალ-რბილში ატანს.

მოყამული ციდან თეთრი მტრედი, ვითარცა უფლის კეთილი ნების ელჩი, მოულოდნელად ჩამოფარფატდა, ფრთებით „ტაში შემოჰკრა“ და მერაბ ბერძენიშვილს დააჯდა მხარზე.

ქართული მონუმენტური ქანდაკების და, საერთოდ, თანამედროვე ქართული ხელოვნების ყველაზე თვითმყოფად დიდოსტატს თვალები გაუბრწყინდა, თავი მტრედისკენ მიაბრუნა და უხმოდ, ღიმილით მიუალერსა.

თეთრმა მტრედმა — მშვიდობის ბიბლიურმა მაცნემ — რამდენჯერმე ჩაიღუღუნა (თითქოს უფლის მოკითხვა, უფლის წყალობის სხივი ჩამოგვიტანა ციდან), დიდ შემოქმედს მადლობა მოახსენა და მოქანდაკის მხრიდან ლამაზად აფრინდა.

აფრინდა, მაგრამ მოყამულ ღრუბლებში არ გაუჩინარებულა, იქვე აღმართული მემორიალური კომპლექსის ყველაზე მაღალ ნიშნულზე, რელიგიური სიმბოლოებით დატვირთული თაღების ერთ-ერთ ზარზე შემოჯდა...

წვიმამ გადაიღო. აღმოსავლეთისკენ ცა მოიწმინდა და გვიანი შემოდგომის მისუსტებულმა მზემ გამოაჭყიტა. მემორიალი მთელი თავისი დიდებულებით წარმოჩინდა...

ბერძენიშვილისეული მორიგი შედევრის გახსნაც ფრიად შთამბეჭდავი გამოდგა (იმ ხანად გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი გახლდით და დღესაც, 30 წლის შემდეგ, არ მავიწყდება ქუთათურთა და ქალაქის სტუმართა გულწრფელი სიხარული დიდებული მემორიალის იმერეთის მთავარ ქალაქში აღმართვის გამო).

**II**

ადამის მოდგმას არ ახსოვს ფაშიზმზე დიდი ბოროტება... სწორედ ამ ბოროტებაზე მიჟლეტილი მილიონობით ვაჟკაცის (მათ შორის 300 000-მდე ქართველის) ხსოვნას მიუძღვნა მერაბ ბერძენიშვილმა გმირთა დიდების მემორიალი. მასში არაფერი იყო საბჭოური. მემორიალი ზოგადსაკაცობრიო, მარადიული სიბრძნის — „ბოროტსა სძლია კეთილმან“ — გამონათება იყო.

მის შექმნას ექვსი გრძელი წელიწადი მოანდომა საჭრეთლის დიდოსტატმა. მარტოოდენ „მშვიდობის მაცნე“ ჭაბუკის „ძერწვას“ შესწირა სამი წელიწადი. ქართველმა ხალხმა, უძველესი და განუმეორებელი ქუთაისის ინტელიგენციამ, უცხოელმა ხელოვნებათმცოდნეებმა ამ უნიკალურ ძეგლს „ქართული ბიბლია“ და „ბიბლიური ტრაქტატი“ უწოდეს. სამაგიეროდ, ოცდამეერთე საუკუნის ნაცისტებმა და ამ ნაცისტების (ნაცმოძრაობის) მოძალადე ლიდერმა, ქართული ცნობიერების, ყოველივე ეროვნულის, ჭეშმარიტი კულტურული ღირებულებების შემბილწველმა მიხეილ სააკაშვილმა მსოფლიო სახელის მქონე მოქანდაკის მემორიალი, მაინცა და მაინც იმ ადგილზე ახალი პარლამენტის აგების ავადმყოფური ახირების საბაბით, დაუნდობლად ააფეთქა და ამით მთელ ერს მიაყენა შეურაცხყოფა. ამ უგუნურებას მემორიალთან ახლოს მდგარი სახლის მობინადრე დედა-შვილის უმწეო სიცოცხლეც შეეწირა (მერე არაკომპეტენტური ამფეთქებლები დასაჯეს, თითქოსდა, იმათი ბრალი ყოფილიყოს, ანტისახალხო ხელისუფლებამ კიდევ ერთი ღვთის რისხვა რომ დაგვატეხა თავზე!).

> **ყველას მაგივრად გაბრაზებული კაცის სათქმელი...**

შეგახსენებთ იმასაც, რომ ნაცხელისუფლებამ კახეთში ფარულად, ღამით, ხალხის დაუკითხავად, 17 ნაწილად დაჭრა ცნობილი მხატვრის ვახტანგ ონიანის ეროვნული ღირსებით შემკული მონუმენტი „ამირანი“.

ქუთაისის მონუმენტი გაანადგურეს 2009 წლის 19 დეკემბერს, ნათლისღების წმინდა დღესასწაულზე. მართლმადიდებელი საქართველოს ყველა გონიერმა მოქალაქემ ის დღე გულშეღონებულმა და პრეზიდენტისადმი რწმენადაკარგულმა დაიღამა.

ამ ფაქტს „საბჭოთა კავშირთან გამომშვიდობება უწოდა“ უმწიფარმა ხელისუფლებამ, დიდოსტატი მერაბ ბერძენიშვილი კი სამიოდე დღის შემდეგ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერდა:

**„საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა გაუგონარი ბოროტება. ხელისუფლებამ წარმოაჩინა თავისი სიბეცე და ქვის ხანის აზროვნება. ხელისუფლებამ საკუთარ შვილებს ძალადობა შთააგონა. მადლობა ღმერთს, რომ ჭირთათმენის უნარი მომცა, ეს ბოროტებაც გადავიტანე!“**

ადვილად მიხვდება მკითხველი, რომ ღვაწლმოსილ შემოქმედს ეს ბოროტება ქართველი ხალხის საყოველთაო სიყვარულმა და პატივისცემამ გადაატანინა. ეს სახალხო სიყვარული მაშინაც თვალნათლივ გამომჟღავნდა, როცა ღირსეული თბილისელები და საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლები (მათ შორის ახალგაზრდებიც) ჯგუფ-ჯგუფად და მორიგეობით იდგნენ სასტუმრო „ივერიის“ წინ და თბილისის მერიის და საკრებულოს გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ ქართველთა ყველაზე დიდი და სახელოვანი წინაპრის, წმინდა მეფედ შერაცხილი დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქის სხვა უბანში გადატანის შესახებ. ხალხის პროტესტის საპირისპიროდ ძეგლს უზარმაზარი ღობე შემოავლეს, „რეფორმირებული“ პოლიცია დაიხმარეს და ყველაზე პიტალო ქართველი მეფე შუაღამისას ნაწილ-ნაწილ დაშალეს. მერე, დიღმის ტრასაზე წაიღეს და ყოველი მხრიდან მოძრავი ავტომანქანებით გარშემორტყმულ სივრცეში ჩადგეს... ეს უმსგავსობა სულელური აზრითაც გაამართლეს: **დავით აღმაშენებელი დასავლეთისკენ უნდა იყურებოდესო.**

მაინც, რას ერჩოდნენ მერაბ ბერძენიშვილის კიდევ ერთ ქმნილებას? — ნუთუ მართლა ყაზახებმა („ყაზტრანსგაზის“) და სასტუმროების ქსელ „რედისონის“ მფლობელებმა მოითხოვეს შესყიდული „ვარდების მოედნიდან“ სახელოვანი „აფხაზთა, ქართველთა, სომეხთა, რანთა და კახთა“ მეფის ძეგლის გატანა?!

არა და არა. უცხოელ ინვესტორებს ეს აზრადაც არ მოსვლიათ. **ქალაქის „მერიკო“ გიგი უგულავა და მისი ხელქვეითები ურცხვად გვატყუებდნენ, რადგანაც ნაციონალებმა და პირადად სააკაშვილმა ვერა და ვერ ჩაისვეს დინჯი, გაწონასწორებული, ყოველმხრივ ზნეკეთილი დიდი პიროვნება და თითოეული ქართველისთვის საამაყო შემოქმედი სასაცილო „ხელმწიფის“, მიხეილ სააკაშვილის ნავში! (სასაცილო თუ სატირალი „ხელმწიფის“? — ალბათ, ორივე ერთად!)...**

ამიტომაც „ახია“ მერაბ ბერძენიშვილზე, ხომ აუფეთქეს „დიდების მემორიალი“, ხომ „გაუსახლეს“ დავით აღმაშენებელი, ხომ აღარ მისცეს „მიშას ბრწყინვალების ორდენი“, 9 წელიწადი ხომ დაზაფრეს ნაცისტური უყურადღებობით, გულგრილობით, არაკაცობით!.

მომიტევოს უფალმა, ყოველივე ამის შემდეგ, თუ ნაციონალების ჯგროს უძველესი ქართველი ერის სირცხვილს და ცოდვის შვილებს ვუწოდებ... **თქვე მართლა ცოდვის შვილებო, საკუთარი ხალხის ოპოზიციაში გადასულო პრეზიდენტო, ნუთუ ოდნავ**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მაინც გჯერათ, რომ მერაბ ბერძენიშვილის, ზოგადად, თქვენგან გამეტებული და ჩარეცხილი ჩვენი შემოქმედებითი, სამეცნიერო და ტექნიკური ინტელიგენციის ნაღვაწის წაშლა და საქართველოს ისტორიიდან ამოგდება ოდესმე გამოგივათ?**

**როცა ერის ყველაზე ღირსეულ შვილებს არ მოსწონხარ, როცა მუდამ მიმტევებელი და ბრძენი პატრიარქის შეგონებები არ გესმის, როცა შენგან მოტყუებული, აბუჩად აგდებული და გაბრაზებული ხალხი საპარლამენტო არჩევნებზე ჯეროვან განაჩენს გამოგიტანს, ჩემი ღრმა რწმენით, ისღა დაგრჩენია ბინძურ პოლიტიკას შეეშვა, უმძიმესი ცოდვები მოინანიო და უფლის სახელით ჩვენი ეკლესიის დიდ საჭეთმპყრობელს შენდობა და პატიება სთხოვო. ამით, იქნებ, შენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალი მაინც გადაარჩინო, ეგების ვინმემ დაგაჯეროს, რომ პაპის ნაჭამი ტყემალი ხშირად შვილიშვილებსაც ჰკვეთს კბილებს...**

## III

ამ დღეებში მეტად საინტერესო წერილები მოდის რედაქციაში. თბილისელთა და არა მარტო თბილისელთა უმრავლესობა ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს მერაბ ბერძენიშვილის დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნებას სასტუმრო „ივერიის“ წინა მოედანზე. ჩვენმა გაზეთმა რამდენიმე წერილი დაბეჭდა კიდეც, მათ შორის გამორჩეული იყო ომისა და შრომის ვეტერანთა და გენერალთა კორპუსის წერილები...

საზოგადოების წარმომადგენელთა სახელით აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ცნობილ ხუროთმოძღვარს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს **ვახტანგ დავითაიას**. აი, რა გვითხრა მან:

— დავით აღმაშენებლის ძეგლის გაძევება დედაქალაქის ცენტრიდან დიღმის ტრასაზე, ზუსტად ეწერება ექს-ხელისუფლების ქცევის კოდექსში. საქართველოს ისტორია ხომ 2003 წლიდან იწყება!.. მსოფლიოში მრავალი მაგალითია არა მხოლოდ არქიტექტურულ-სკულპტურული ძეგლის ადგილმონაცვლეობისა, არამედ არქიტექტურული ნაგებობების და მთელი კომპლექსებისაც კი. მაგალითად, ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნის უნიკალური ძეგლის აბუ სიბელის დიდი ტაძარი, 14 მცირე ტაძართან ერთად, დახერხეს 1020 ნაწილად და გადაიტანეს 60 მეტრით მაღალ ნიშნულზე. ეს უპრეცედენტო აქცია მეოცე საუკუნეში შესრულდა ეგვიპტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ასუანის კაშხლის მშენებლობის გამო. მაგრამ, როდესაც ძეგლების გადატანა, ზოგჯერ განადგურებაც, ხდება უსაფუძვლოდ, ავადმყოფური ახირებით, უტაქტოდ, როდესაც ავტორს, თანაც თანამედროვეობის უდიდეს მოქანდაკეს, არც ადგილს უთანხმებ და არც თანაავტორ-არქიტექტორს, ეს ნამდვილი ინკვიზიციაა და საზოგადოებას ბუნებრივად უჩნდება მძაფრი პროტესტის გრძნობა. ქუთაისშიც და თბილისშიც მოხდა აშკარა ძალადობრივი აქტი, მაგრამ მე არ მეგულება არც ერთი ქართველი, რომელიც დარწმუნებული არ იყოს იმაში, რომ ეს დროებითი მოვლენაა.

**— ალბათ, ახალი პროექტის შექმნაც ამან დააჩქარა...**

— არა, პროექტი გაცილებით ადრე შეიქმნა. ბატონ მერაბს ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ დიღმის ტრასა დავით აღმაშენებლის საბოლოო ნავსაყუდელია. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ამ თემაზე, მრავალგზის ვიყავით ადგილზე, ვაზუსტებდით ძეგლის დადგმის ადგილს.

**— ძეგლი ზუსტად იმ ადგილას დაიდგმება, სადაც ადრე იდგა?**

— არა. ბოლო წლებში ამ არეალში ბევრი რამ შეიცვალა, სამწუხაროდ, უარესობისკენ! მხედველობაში მაქვს „ივერიის“ ახალი, გაშეშებულ-გაშუშებული, ცივი არქიტექტურა. შეიცვალა „ივერიის“ წინა მოედანიც, გაუქმდა შადრევანი. ამან კი „ივერიის“ არეალში ძეგლის სხვა ადგილი, სხვა გადაწყვეტა, სხვა პროპორციები და მასალა მოითხოვა.

**— აკი „ივერიის“ წინა მოედანზე ფუნიკულიორის საბაგირო გზის ქვედა სადგური შენდებაო?**

— პირველად მესმის. ფუნიკულიორისკენ საბაგირო გზა აუცილებელზე აუცილებელია, მაგრამ გაუგებარია, აქამდე რატომ არ აღადგინეს? ხომ არსებობდა ქვედა სადგური, უკეთეს ადგილს ადამიანი ვერც ინატრებს. რატომ უნდა გადაკვეთოს რუსთაველის გამზირი საბაგირო ტრასამ? თუმცაღა ასეთი წინადადება რომც არსებობდეს, ნამდვილად არ გამიკვირდება. ამ ცხრა წლის განმავლობაში ხომ მრავალი აბსურდის მოწმენი გავხდით...

ერთ იდეასაც გაგიმხელთ. ქუთაისის დიდების მემორიალიდან გადარჩა ცხენოსანი ყმაწვილი — „გამარჯვების მაცნე“. ამჟამად ის მერაბ ბერძენიშვილის ღია ცის ქვეშ მუზეუმის მშვენებაა. მიმაჩნია, რომ „გამარჯვების მაცნე“ უნდა დაიდგას თბილისის პარლამენტის შენობის ეზოში, როგორც გამარჯვების და თავისუფლების ძეგლი, რომელიც, იმავდროულად, საუკუნეებს შემოუნახავს ხსოვნას ქუთაისის დიდების უნიკალურ მემორიალზე.

**— კი, მაგრამ ვინ უნდა ნახოს „გამარჯვების მაცნე“ ყოველი მხრიდან ჩაკეტილ პარლამენტის ეზოში?**

— ჯერ კიდევ ათი წლის წინათ დიდი გულისტკივილით ვწერდი, რომ დაუშვებელია ქალაქის ცენტრში იყოს ასეთი უნიკალური არქიტექტურული სივრცე და ის აქტიურად ჩართული არ იყოს ქალაქის ცხოვრებაში. უნდა გაიხსნას პარლამენტის ეზოს ოთხივე „კარიბჭე“, სოლიდური კონტროლი უნდა დაწესდეს მხოლოდ კორპუსების შესასვლელებთან. სამუშაო საათების შემდეგ, სადღესასწაულო დღეებში და შაბათ-კვირას ეს სივრცე უნდა იყოს საზოგადოების კუთვნილება, ახალგაზრდული ღონისძიებების ადგილი, თუ აუცილებლობა იქნება, მიტინგებიც შეიძლება იქ გაიმართოს და არა რუსთაველის გამზირზე. დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლება ამ საკითხს უსათუოდ მოაგვარებს. აიღებს ორმაგ ლითონის „ჯებირებს“, გააუქმებს პოლიციის პოსტებს, გახსნის ამ სივრცეს, არც „გამარჯვების მაცნეს“ დადგმის წინააღმდეგი იქნებიან თბილისელები.



„მშვიდობის მაცნე“ ვანდალიზმს გადაურჩა...

**— გამოდის, რომ თქვენ პარლამენტი ქუთაისიდან ისევ თბილისში დააბრუნეთ...**

— რა თქმა უნდა. აბსურდია 4,5 მილიონიან, ტერიტორიითაც პატარა ქვეყანაში მთავრობა, პარლამენტი და კონსტიტუციური სასამართლო სხვადასხვა ქალაქში იყოს. იმასაც მოევლება, რომ ქუთაისის პარლამენტში არ წვიმდეს, არ იყოს ჟანგბადის უკმარისობა, ზაფხულში აუტანელი სიცხე, უფრო სამწუხარო ის გახლავთ, რომ პარლამენტის ახალი შენობა ფორმა-ნიშანთა სემანტიკით თავდაცვითია, კუს ალეგორიაა, პასიურია, დახურული, უხასიათო, ზეიმურობის და სიამაყის ნიშანწყალიც კი არ გააჩნია. ესაა შენობა არქიტექტურულ-მხატვრული სიუჟეტის გარეშე, წრიული კვეთის მილების რომბისებური სეგმენტების თემა უკვე ყელშია ამოსული, **გვეყო „ანბანის კოშკი“ ბათუმში, „მშვიდობის ხიდი“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა თბილისში...**

— ყველაფერი გასაგებია. გმადლობთ...

## IV

**ძვირფასო პარლამენტარებო! ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!**

**ასეთი გამოწვლილვით და გულისტკივილით იმიტომ მოგითხრეთ ქუთაისის დიდების მემორიალის განადგურებისა და დავით აღმაშენებლის ძეგლის შეურაცხყოფის თაობაზე, რომ თქვენი მაშინდელი პროტესტი და გულისწყრომა შეგახსენოთ. მთელი ამ წლების განმავლობაში თქვენ ოპოზიციაში იყავით, ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ნებას გამოხატავდით, მაგრამ... ბრექი, თვითმარქვია, ამპარტავანი, არაადეკვატური ხელისუფლების გამო ვერაფერს გახდით.**

**ერთი წლის წინათ დიდმა ქველმოქმედმა, უშიშარმა და მიზანსწრაფულმა ბიძინა ივანიშვილმა ლამის მთელი ოპოზიცია კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გააერთიანათ და 1 ოქტომბერს ნაციონალურ ურჩხულთან ბრძოლაში ოლიმპიური სიმშვიდით გაგამარჯვებინათ. საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით მოხვედით და უიმედობისგან, სიცრუისგან, პრეზიდენტის დაუჯერებელი ახირებებისგან შეღონებულ ხალხს იმედი ჩაუსახეთ... თუმცაღა, მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ არის, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ შინაური და სააკაშვილის მოჩვენებითი ბაქიბუქისგან გაბრიყვებული გარეშე მტრებისგან, ყოველდღიურად ბინძურ შანტაჟს, პროვოკაციას, საბოტაჟს რომ გიწყობენ, ქართველი ხალხის უმრავლესობა ბოლომდე გაგამარჯვებინებთ, რადგანაც მიწიერი და ზეციური სიმართლე თქვენს მხარეზეა!**

## V

... **თვალწინ** მიდგას მერაბ ბერძენიშვილის მრავალთაგან ერთ-ერთი საუკეთესო, ჭეშმარიტად ეროვნული და იმედისმომცემი ქანდაკება — **„კიდევაც დაიზრდებიან“**, რომელიც მარნეულის გზაზე დგას. სხვა რომ არაფერი შეექმნა მერაბ ბერძენიშვილს, მარტოოდენ ეს გენიალური ქმნილება ეყოფოდა უკვდავებისთვის...

განა შეიძლება ასეთ საამაყო თანამემამულეს გული ვატკინოთ? საქართველოს პარლამენტს, პირადად ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, როგორც იტყვიან, ხელის ერთი მოსმით ხელგეწიფებათ ქართველი საზოგადოების დიდი სურვილი აღასრულოთ და წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისის ცენტრში, სასტუმრო „ივერიის“ წინ დააბრუნოთ!

სრულიად სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ქუთაისის დიდების მემორიალის აღდგენაზეც!

ეს იქნება იმის დასტური, რომ ქვეყნის ახალი ხელისუფლება ნაციონალების ძალადობას სიკეთით უპირისპირდება და ხალხის ხმას ჯეროვან პატივს მიაგებს.

**სპარტაკ ქობულია**



დღეს ვანდალურად განადგურებული დიდების მემორიალის ადგილზე დიდი საპროტესტო აქცია გაიმართება...

## ინფორმაცია

### ე.წ. საზღვართან რამდენიმე დღის წინათ დაკავებული გივი ჩხიკვაძე გათავისუფლებულია

**ერგნეთში** ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში მორიგი შეხვედრა მიმდინარეობს. შეხვედრის დაწყებამდე ოსურმა მხარემ ქართველ სამართალდამცავებს რამდენიმე დღის წინათ სოფელ კირბალის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული გივი ჩხიკვაძე გადასცა.

გივი ჩხიკვაძის განცხადებით, რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს და დაკითხვასაც ისინი აწარმოებდნენ. ჩხიკვაძეს ოსური და რუსული მხარეები ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში სდებდნენ ბრალს. თუმცა, როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა გიორგი დვალიშვილმა განაცხადა, ინტენსიური მოლაპარაკებები შედეგიანი აღმოჩნდა და გივი ჩხიკვაძის გათავისუფლება მოხერხდა.

გიორგი დვალიშვილი იმასაც აცხადებს, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუსულ და ოსურ მხარეებთან იმ სხვა დაკავებულების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლებიც ამ დრომდე ცხინვალის ციხეში რჩებიან. არსებული ინფორმაციით, ცხინვალის საპატიმროში ათამდე ქართველი რჩება და მათ უმრავლესობას ოსური და რუსული მხარე ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთას ედავება.

რაც შეეხება ერგნეთის შეხვედრას, ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის კახა ქემოკლიძის განცხადებით, ქართული მხარე 2 დეკემბერს სოფელ კოდაში მომხდარი ინციდენტის გამოძიების საკითხის დაყენებას აპირებს. გარდა ამისა, საუბარი იქნება დაახლოებით ორი თვის წინათ სოფელ ნიქოზის მიმდებარე ტერიტორიიდან გატაცებული სატრანსპორტო საშუალებებზეც.

### „მატროსოვის“ ციხეში 26 პატიმარი სოლიდარობის ნიშნად შიმშილობას გეგმავს

**სასჯელაღსრულების** მე-9 დაწესებულებაში, ე.წ. მატროსოვის ციხეში 26 პატიმარი, ლევან და კახა ტერაშვილების, დავით შიუკაშვილისა და შალვა საბაშვილის სოლიდარობის ნიშნად, შიმშილობის გამოცხადებას აპირებს. ამის შესახებ ინფორმაციას „ქართული პარტია“ ავრცელებს.

პარტიის ინფორმაციით, 26 პატიმარი, რომლებიც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პოლიტპატიმართა სიაში შეიყვანა, შეუერთდება შიმშილობის აქციას, რომელსაც ძმები ტერაშვილები და დავით შიუკაშვილი მეცხრე დღეა, აგრძელებენ.

მათი განცხადებით, ამორალურად და გაუგონარ ცინიზმად მიაჩნიათ, თვითონ ციხიდან გავიდნენ და ეს ადამიანები, რომლებიც მათი მეგობრები და თანამებრძოლები არიან სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საკნებში გამოკეტილი დარჩნენ.

**ინტერპრესი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილი რეიტინგისა და თვითმფრინავის გარეშე დარჩა

ოქტომბრის არჩევნებზე დამარცხების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და პროპრეზიდენტული პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი მკვეთრად დაეცა. ამას მოწმობს თბილისში გამოქვეყნებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები. პრეზიდენტისთვის ახალი დამცირება გახდა პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, ჩამოართვან მას პირადი თვითმფრინავი.

ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკვლევის თანახმად, მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ რეიტინგმა 63 პროცენტს მიაღწია, მაშინ, როდესაც პროპრეზიდენტული პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი შეადგენს მხოლოდ 10 პროცენტს. კოალიციის ლიდერის, პრემიერ ბიძინა ივანიშვილის პირადმა რეიტინგმა მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ აიწია 80 პროცენტამდე, ხოლო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა დაეშვა 29 პროცენტამდე, თუმცა არჩევნებამდე ორი თვით ადრე სახელმწიფოს მეთაურის საქმიანობას იწონებდა გამოკითხულთა 61 პროცენტი. მკვეთრად დაეშვა დაბლა საქართველოს პრეზიდენტობის საალბათო კანდიდატის თბილისის მერის გიგი უგულავას ნდობის დონეც. თუ აგვისტოში მას მხარს უჭერდა გამოკითხულთა 58 პროცენტი, ნოემბერში ქალაქის მერის რეიტინგი შემცირდა 29 პროცენტამდე. ასევე დაეცა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის რეიტინგი, რომელიც ადრე პრეზიდენტის შემდეგ ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად ითვლებოდა ქვეყანაში.

ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ქართული ოფისის ხელმძღვანელმა ლუის ნავარომ დაგვარწმუნა, რომ რეპრეზენტატულობა გამოკვლევისა, რომელიც მოეწყო მთელ საქართველოში 14-25 ნოემბერს, ეჭვს არ იწვევს. ექსპერტები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოპულარობის კატასტროფულ დაცემას განმარტავენ არჩევნების შემდეგ პროპრეზიდენტული პარტიის პასიურობით. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები ელოდებოდნენ უფრო გადამჭრელ, ქმედით ნაბიჯებს და პრინციპულ პოზიციას ბევრ საკითხში, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას ვერ ეღირსნენ“, — განმარტა კოალიცია „ევროპული საქართველოსთვის“ თანადამფუძნებელმა ლევან ჩოლოყაშვილმა.



პრეზიდენტის გუნდის წევრები ცდილობენ, მონახონ რეიტინგის დაცემის განმარტება საზოგადოების მენტალიტეტის თავისებურებით, რომელიც ვერ გათავისუფლდა ხელისუფლების აღქმის სტერეოტიპიდან, რაც საბჭოთა წარსულთან არის დაკავშირებული. „ეს არის ჩვეულებრივი პოსტსაბჭოთა ისტორია. ახალ ხელისუფლებას ყოველთვის აქვს უზარმაზარი მხარდაჭერა, მაგრამ იმედები მალე მიფრინავს, როგორც რეიტინგიც. ამჟამად ბიძინა ივანიშვილი იმყოფება სწორედ არარაციონალური და ემოციური შეფასებების ეტაპზე“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით დარჩიაშვილმა. მისი აზრით, ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს ხელისუფლებას, როგორც ასეთს, „და არა იდეებს, პროექტებს ან წარსულ დამსახურებებს“. დეპუტატმა გამოთქვა შეშფოთება ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის შესაძლო რევანშიზმის გამო, რომლებიც ცდილობენ, შური იძიონ ყოფილ ხელისუფლებაზე. „ამის დასტური გახდა პრეზიდენტის თვითმფრინავთან დაკავშირებით ულამაზო ისტორია“, — დაუმატა ჩვენთან მოსაუბრემ. მას მხედველობაში ჰქონდა თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილება, ჩამოართვან შესაძლებლობა სახელმწიფოს მეთაურს, იფრინოს იმ თვითმფრინავით, რომელიც ლიზინგით შეიძინეს რამდენიმე წლის წინათ თავდაცვის სამინისტროს სახსრებით. ახლა თვითმფრინავს დაუბრუნებენ სალიზინგო კომპანიას.

წინა დღით მინისტრის თანაშემწემ ვაკო ავალიანმა განმარტა, რომ ბიზნეს-ჯეტს, რომელიც შეძენილი იყო ვიზიტებისა და შორეული ფრენებისთვის, სააკაშვილი იყენებდა პირადი მიზნებისთვის. „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად, ჩვენ მოვხსენით გრიფი „საიდუმლო“ სახელმწიფოს მეთაურის მარშრუტებს“, — განაცხადა ბატონმა ავალიანმა. როგორც აღმოჩნდა, ამ თვითმფრინავით მიხეილ სააკაშვილი მიფრინავდა ლას-პალმასში, ბერმუდის კუნძულებზე, პალანგაში, ნიცასა და სხვა კურორტებზე, აგრეთვე მილანში, სადაც ჟურნალისტებმა დააფიქსირეს იგი ადგილობრივ ბუტიკებში შოპინგის დროს.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე

**ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: რუსეთისთვის ბაიკონურის ჩამორთმევა იქნებოდა „გულუბრყვილობა და უგუნურობა“**

**ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მიაჩნია, რომ ჟურნალისტებმა დიდად გააყალბეს ყაზახეთის კოსმოსის მეთაურის ტალგატ მუსაბაევის სიტყვები: ის საუბრობდა არა ბაიკონურის რუსეთის ფედერაციის იურისდიქციიდან გამოყვანის შესახებ, არამედ ყაზახეთის მონაწილეობის გაფართოებაზე კოსმოდრომის საქმიანობაში. მუსაბაევმა გააკრიტიკა ყაზახეთის „თავიდანვე განწირული“ „ბაიტერეკის“ პროექტი.**

**იმ მსროლელის სახლში, რომელმაც ამერიკის სკოლაში 26 კაცი დახოცა, აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი სამხილი**

**ადამ ლანცის „კაბინეტში“ ნახეს მაგარი დისკი, რომელიც, როგორც ჩანს, ეჭვმიტანილმა ჩაქუჩით გატეხა დანაშაულის ჩადენის წინ. მისი აღდგენისა და დადასტურებათა შეკრებისთვის შეიძლება თვეები იყოს საჭირო. ამ დროს, ორი გადარჩენილი მასწავლებელი უკვე გამოწერეს საავადმყოფობან, მალე ისინი მისცემენ ჩვენებას.**

* * *

**შვედეთის სანაპიროზე აღმოაჩინეს საბჭოთა სუბმარინა, რომელიც ჩაიძირა 1941 წელს**

**შვედეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა უკვე მოასწრეს ნამსხვრევების გამოკვლევა და წარუდგინეს მსოფლიოს წყალქვეშა ნავის ფოტოგრაფიები ბალტიის ზღვის ფსკერზე. აღმოჩენილი სუბმარინა, უეჭველია, საბჭოეთისაა — მასზე არის წარწერა რუსულ ენაზე, აგრეთვე ნამგალი და უროს გამოსახულება. მაგრამ გამოცანად რჩება, რატომ ჩაიძირა წყალქვეშა ნავი.**

* * *

**არქეოლოგებმა გამოიცნეს ფარაონ რამზეს მეორის მკვლელობის საიდუმლო**

**კომპიუტერული ტომოგრაფის დახმარებით ფარაონის მუმიის „გაშუქებით“ მეცნიერებმა აღმოაჩინეს მის კისერზე დიდი 7 სანტიმეტრის სიგრძის ჭრილობა. ამ ღრმა ჭრილობამ გადაჭრა ტრაქეა და ყველა დიდი სისხლსადენი ძარღვი. ამას გარდა, მათ გამოიკვლიეს მისი შვილის მუმიაც, გამოარკვიეს სიკვდილის ვითარებანი.**

# საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრმა ციხეში შიმშილობა გამოაცხადა

საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც გლდანის № 8 ციხეში იმყოფება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის ბრალდებით, გამოაცხადა შიმშილობა, აცნობეს ჟურნალისტებს მისმა დამცველებმა ზვიად კორძაძემ და მამუკა ჭაბაშვილმა.

ადვოკატების მონაცემებით, რამდენიმე პიროვნება, რომლებიც დაკავებული არიან ოქრუაშვილის საქმესთან დაკავშირებით, უკვე შიმშილობენ რამდენიმე დღეა, თავდაცვის ექსმინისტრი კი შეუერთდა მათ სოლიდარობის ნიშნად.

ოქრუაშვილი ასევე გამოდის პარლამენტის მიერ დამტკიცებულ პოლიტპატიმრების სიაში თავისი თანამებრძოლების შეტანის სურვილით.

2008 წლის 28 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ მას დაუსწრებლად 11 წლის პატიმრობა მიუსაჯა გამოძალვისა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების საქმით.

BBC RUSSIAN.com

# არც ღვინო და არც წყალი - ჩრდილოეთში ყინული ჯერ არ დაძრულა

**ახალ წლამდე ვერც ქართული ღვინო და ვერც მინერალური წყალი რუსეთის ბაზარზე ვერ მოხვდება. გაზაფხულზე კი ჩრდილოეთში „სარაჯიშვილის“ პროდუქცია გაიგზავნება. რუსეთში საკუთარი ნაწარმის შეტანას უკვე ათეულობით ქართული კომპანია ითხოვს.**



რუსეთთან ურთიერთობის საკითხში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების სანაცვლოდ, რამეს დათმობის საკითხი არ დგას. პირიქით, ვინაიდან საქართველო დაეხმარა რუსეთს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრებაში, ახლა ეს არა კეთილი ნება, არამედ რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებაა.

როგორც მთავრობის კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე აბაშიძემ აღნიშნა, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნება საქართველოს გააძლიერებს.

**„აქ არ არის საუბარი მხოლოდ ციფრებსა და ღვინოზე, ბევრ ადამიანზეა საუბარი. ასევე ცოტა გაზვიადებულია ის მიდგომა, რომ საქართველოში რუსული კაპიტალისთვის კარი ღია იყო. რუსულ ბაზარზე რომ ქართულ პროდუქციას ბარიერები ექმნებოდა, ეს ფაქტია. ამავდროულად, არც რუსული კაპიტალი გრძნობდა თავს კომფორტულად საქართველოში.**

**რუსეთში ძალიან ბევრი შეძლებული ქართველი ცხოვრობს, ვისაც სურდა საქართველოში ბიზნესი გაეკეთებინა, მაგრამ იყო მინიშნება, რომ თავი შეეკავებინათ პოლიტიკური მოსაზრებით. პოლიტიკური კლიმატის გამო ბევრი ვერ რისკავდა საქართველოში ინვესტირებას“,** — განაცხადა აბაშიძემ და დასძინა, რომ მომავალში ეს მიდგომა შეიცვლება და რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები ჩვენს ეკონომიკაში სერიოზულ ინვესტიციებს ჩადებენ.

ზურაბ აბაშიძის სიტყვების წილ „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შესატანად ხელოვნური წინაღობა არ არსებობს. მისი ინფორმაციით, „როსპოტრებნადზორში“ ვაჭრობის განახლების მიზნით 30 ქართული საწარმოს დოკუმენტაციაა განსახილველად წარდგენილი.

**„მზად ვართ ქართველ მწარმოებლებს შევხვდეთ, თუმცა მანამდე წარმოება ადგილზე უნდა შევამოწმოთ. თუ წარმოება დამაკმაყოფილებელი იქნება, ღვინისა და მინერლური წყლის შემოტანა განახლდება“,** — განაცხადა გენადი ონიშჩენკომ და იქვე დასძინა, რომ ახალ წლამდე შეტანა ვერ მოხერხდება.

კომპანია „სარაჯიშვილი“ რუსეთში საკუთარი პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებით ერთ-ერთ რუსულ კომპანიასთან ხელშეკრულებას აფორმებს. როგორც კომპანიის დამფუძნებელმა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა განაცხადა, კონტრაქტის გაფორმების ზუსტი დრო და ვადა რამდენიმე დღეში ეცოდინება.

**„ეს არის ერთ-ერთი ცნობილი რუსული კომპანია, რომელიც რუსეთში ჩვენი პროდუქციის ექსპორტს განახორციელებს“,** — აღნიშნა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა, რომელმაც დაადასტურა, რომ რუსი სპეციალისტები კომპანიაში შემოწმებაზე უკვე რამდენჯერმე იმყოფებოდნენ.

**„შემოწმებაზე ბევრი ადამიანი მოვიდა. მოსწონთ ქართული კონიაკი და ამბობენ, რომ ძალიან სურთ, რუსულ ბაზარზე ჰქონდეთ ქართული სასმელი — ღვინო და კონიაკი“,** — განაცხადა ბუბუტეიშვილმა.

მას რუსულ ბაზარზე პროდუქციის დაბრუნების თარიღი არ დაუკონკრეტებია, თუმცა ეს, სავარაუდოდ, 2013 წლის მარტში მოხდება.

**მცირე და საშუალო ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი კახა კოხრეიძე მიიჩნევს, რომ, რაც მეტი იქნება ქართული წარმოების პროდუქციის ექსპორტი რუსულ ბაზარზე, მით მეტ სარგებელს ნახავენ საქართველოში მოქმედი კომპანიები, თუმცა რუსული ბაზრის გახსნას წინ ეკონომიკური ანალიზი უნდა უძღოდეს.**

**რუსეთს, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრს, მოუწევს დაექვემდებაროს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც, კოხრეიძის აზრით, საქართველომ დროულად უნდა გამოიყენოს, რათა ქართულ კომპანიებს ექსპორტის საშუალება მიეცეთ.**

რუსეთის ბაზრის დახურვის შემდეგ ქართულმა კომპანიებმა ალტერნატიული გასაღების ბაზრები მოძებნეს ევროკავშირის ქვეყნებში, კანადასა და ამერიკაში, სადაც ხარისხის გაუმჯობესება და გაცილებით მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება მოუხდათ. შესაბამისად, კოხრეიძე დარწმუნებულია, რომ ეს კომპანიები ამ ბაზრებს არც დატოვებენ.

**„ეს უკვე კონკრეტული კომპანიების გადასაწყვეტია — თუ მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ გამოუშვან მეტი პროდუქცია, ოღონდ ნაკლები ხარისხით, თანაც ისეთი, რომ იყოს მისაღები რუსეთის ბაზარზე, ეს შანსი, ცხადია, შეუძლიათ გამოიყენონ. თუმცა, არ მგონია, რომ ვინმემ გადაწყვიტოს, უკვე ათვისებული დასავლეთის განვითარებული ბაზარი ჩაანაცვლოს რუსეთის ბაზრით“,** — აცხადებს კოხრეიძე.

**გიორგი ბექაური**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვულოცავთ ბატონ გიორგი ნაჭყებიას

# ... რომ ყველაფერი კარგად იქნება

**„ქართული ოცნება“ და სინამდვილე ბერიკაცის თვალთახედვით...**



**ჩვენ ერთად გავატარეთ მრავალი წელი, ის სულ „უფროსი“ იყო, მე მისი უმცროსი მეგობარი, ოღონდ, არავითარ შემთხვევაში, „ქვემდგომი“, რადგან ბატონი გიორგი თვითონ იძლეოდა უბრალოებისა და „კაცური ურთიერთობის“ მაგალითს.**

**მის გვერდით გატარებული წლები გაზეთ „კომუნისტში“ არა მარტო ჩემთვის არის სასიამოვნოდ მოსაგონარი, არამედ ყველასთვის, ვისაც უკვე „უფროსი თაობა“ გვქვია და გაფრენილ წლებსა და დღეებს ხან სიხალისით, ხან სევდიანად ვიგონებთ ხოლმე.**

**ამასობაში, ბატონი გიორგი ნაჭყებია 85 წლისა გამხდარა. ღმერთო, ჯანი არ მოაკლო და, შესანიშნავად გამოიყურება, თუმცა, სიტყვა „ბერიკაცი“ თვითონ დააწერა ამ ინტერვიუს თავმდაბლურად და არც ჩვენ ჩაგვისწორებია.**

**— ბატონო გიორგი, გილოცავთ დაბადების 85 წლისთავს, მე ვიცი, რომ ბევრ რამეს მოესწარით, ექვსი ათეული წლის მანძილზე უწყვეტად ემსახურეთ მშობელ ქვეყანას. აქედან, 36 წელი, სულ „პირველი პირი“ იყავით. მათ შორის, სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი, თითქმის, — ორი ათეული წელი, ოფიციალური ბრძანებულებით, ხართ ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი და სხვ. როგორც იტყვიან, არაფერი გიკვირთ, ჰოდა, ამიტომაც, საინტერესოა, თქვენი გადმოსახედიდან როგორ აფასებთ დღევანდელ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?**

— უპირველესად, დიდი მადლობა მოლოცვისთვის. ასევე, მადლობა უფალს, რომ მართლაც ბევრი რამის მომსწრე გამხადა. რაც შეეხება თქვენს კითხვას, თქვენივე ნებართვით ერთი ეპიზოდით დავიწყებ:

შარშანდელი 7 ოქტომბრის დილა. პარასკევი. მშვენიერი ამინდია. ჩვეულებრივად დღის 9 საათზე საგაზეთო ჯიხურთან ვდგავართ. დროს იმიტომ ვუთითებ, რომ „ჩემს“ გაზეთს — „საქართველოს რესპუბლიკას“ არცთუ დიდი ტირაჟის გამო ძნელად თუ იშოვი... გაზეთიც ავიღე, სახლში დავბრუნდი, შევუდექი გაზეთის დათვალიერებას. დავხედე პირველ გვერდს, არის ბიძინა ივანიშვილის განცხადება სურათით. თავიდან აზრზე ვერ მოვედი. ეს კაცი არასოდეს მინახავს. ბოლოს მივხვდი, ეს ის მეცენატია, ვინც სამების ტაძარიააშენა. იქნებ გვეშველოს... ამასობაში დავიწყე განცხადების კითხვა და როგორც კი ავტორი შეეხო ძალადობასა და სიცრუეზე აგებულ სააკაშვილის მმართველობის საკითხს, ვერ მოვითმინე, ფეხზე წამოვდექი, ფიქრებმა გამიტაცა.

ძალადობას ბავშვობიდან ვერ ვიტან... იქნებ, ამიტომაც ახალგაზრდობაში ტირანიაზე — კერძოდ, ბონაპარტიზმზე დავიცავი სკანდალური დისერტაცია, რომელიც შემდგომ მონოგრაფიის სახით გამოიცა. მას მოჰყვა სადოქტორო ფაშიზმზე, მაგრამ ვერსად ამოვიკითხე მსგავსი წამება, რაც სააკაშვილმა, მისმა ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს, ქვეყანას მიაყენა. მას ვერ შეედრება ვერც ნაპოლეონ III ბონაპარტიზმი, ვერც კინოფილმი „ჩვეულებრივი ფაშიზმი“ და ვერც ლათინური ამერიკის კაუდუილიზმი...

ეს იყო დანტეს „ღვთაებრივი“ კომედიის მესამე ნაწილი — ნამდვილი „ჯოჯოხეთი“. მაინც რა საოცარი დამთხვევაა — იქაც 9 წრე და აქაც ცხრა წელიწადი.

ცხადია, განცხადება ბოლომდე წავიკითხე, ჩემებურად გავაანალიზე, გონების თვალით ავწონ-დავწონე. საოცარი შინაგანი კმაყოფილება მივიღე, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებ. ათასნაირი ფიქრები მომდის... საკუთარ თავს ვესაუბრები, აგერ ერთიც გამოიკვეთა. კერძოდ — დღეს საქართველოს ნამდვილად ძნელბედობის ჟამი უდგას. რუს კაცს აქვს მოწოდება — „წინ!“, რომელიც მას სასწაულებს აკეთებინებს. ჩვენ კი, ქართველებს, ჭკვიანი, გაბედული წინამძღოლის მოწოდება: მომყევით!!! და სწორედ სტრიქონებს შუა ეს იკითხება ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.

ინტუიციით მივხვდი, რომ ხვალ და ზეგ საქართველოში მცხოვრები ასი ათასობით გონიერი ადამიანი, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, დადგებოდა ბიძინა ივანიშვილის გვერდით. მე კი პირველად შევუკურთხე ჩემს ასაკს, მაგრამ სიტყვა?! თანაც ბეჭდვითი! ესეც ხომ ჯარისკაცია და მოვედი თქვენთან, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში, მეორე დღეს 8 ოქტომბერს ამავე გაზეთში დაიბეჭდა ჩემი გამოხმაურება სათაურით „გზად მომავლისაკენ“. სულ მცირედი ამონარიდი ამ წერილიდან: „ეს განცხადება დიდი იმედით მივიღეთ და ღმერთსა ვთხოვთ, ეს იმედი მაინც არ გაგვიცრუოს! ყველა თქვენს კეთილ ჩანაფიქრს გაუმარჯოს, ბატონო ბიძინა!“

წლევანდელი პირველი ოქტომბერი ქართველი ხალხის ისტორიაში შევა „ოქროს ასოებით“. კიდევ ერთხელ მოვიგეთ ჩვენი სახელოვან წინაპართა „ძლევაი საკვირველი“.

**— და, მაინც, მინდა გკითხოთ, რა მოხდა სამეგრელოში? ხომ არ „ჩაიჭრნენ“ მეგრელები?**

— 22 სექტემბერს ზუგდიდში ჩატარებულმა წინასაარჩევნო ასოცდაათიათასიანმა მიტინგმა, „ქართული ოცნებისადმი“ ხალხის უჩვეულო ერთგულების, დარაზმულობის დემონსტრირებამ, ხელისუფლებას თავი ქვაზე არტყმევინა, ამიტომ არჩევნების დღეს მთელი სამეგრელო, მისი შვიდივე რაიონი, ხელისუფლების მხრიდან უჩვეულო პოლიტიკური წნეხის, ყველა ადმინისტრაციული რესურსის ბოლომდე გამოყენებით ბლოკირებული იქნა. ჩემი ინფორმაციით 17 საათზე „ქართულ ოცნებას“ წალენჯიხაში არჩევნები მოგებული ჰქონდა, ალბათ, ასე იყო სხვა რაიონებშიც. მაგრამ შემდგომ მოხდა ის, რომ არჩევნების გაყალბების გზით ხალხს კი არ მოპარეს, არამედ წაართვეს გამარჯვება. ამიტომაც გაზეთის საშუალებით დღეს მივმართავ ჩემს სამეგრელოს, სახელოვანი წინაპრების — ქუჯის, ცოტნე დადიანის, დუტუ მიქავას შთამომავლებს — ნუ ხართ დარცხვენილები! — თქვენ ნამდვილად გაიმარჯვეთ. თავები მაღლა ასწიეთ! ახლა საჭიროა მხოლოდ წინსვლა, რომ კონკრეტული საქმეებით დავეხმაროთ არჩევნებში გამარჯვებულ ხელისუფლებას, რომ გახადოს სინამდვილედ და ფრთები შეასხას ქართულ ოცნებას!

თუ ნებას მომცემთ, ჩვენი ინტერვიუ მინდა დავამთავრო საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლექსის სტრიქონებით:

**დიდი ნიჭია თავშეკავება,**
**ნიჭით სიბნელე ნათლით ივსება,**
**როცა ამ ნიჭს ფლობ, შენ უკვე იცი,**
**რომ ყველაფერი კარგად იქნება.**
**როცა ირწმუნებ სიტყვების ძალას**
**და ეს სიტყვები შენთვის იფრქვევა,**
**სხვებს აუხსენი და შთააგონე,**
**რომ ყველაფერი კარგად იქნება.**

— ღმერთმა ქნას, ღმერთის მსახური ჩვენი სასიქადულო სულიერი მამის ეს ბრძნული სიტყვები ახდომოდეს საქართველოს!

**— იცოცხლეთ, ბატონო გიორგი!**

ესაუბრა
**ვილენ მარდალეიშვილი**

ერიჰა!

# „24 საათმა“ კოლეგები „გადააგდო“

**შაშკინი გამომცემლობებს საბოტაჟში ადანაშაულებს, გამომცემლები კი მას სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და დისტრიბუციის მონოპოლიზებაში სდებენ ბრალს**

**ცოტა ხნის წინათ ჩვენში მოქმედმა რამდენიმე მსხვილმა გამომცემლობამ განათლების ყოფილ მინისტრს საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და დისტრიბუციის მონოპოლიზებაში საჯაროდ დასდო ბრალი. შაშკინმა ბრალდებებს ფეისბუქის საკუთარი გვერდით უპასუხა.**

საკუთარი სურვილით დევნილობაში მყოფი შაშკინი წერს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ზოგიერთმა გამომცემელმა მოინდომა მისთვის სამაგიეროს გადახდა, რადგანაც მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს ხელს უშლიდა მათ (გამომცემლებს) სახელმწიფოსა და ხალხის ხარჯზე მილიონების კეთებაში. ექს-მინისტრს ერთ-ერთი გამომცემლის სიტყვებიც მოჰყავს, რომელიც ამბობს (არ სახელდება, კონკრეტულად რომელი), რომ სამინისტრო მას ფულს ახდევინებდა გრიფირების უფლების მიღებისათვის. ყოფილი მინისტრი გაოცებული კითხულობს: **როგორ, გამომცემელი შედიოდა 60-მილიონიან ბაზარზე და წიგნის შეფასების ფული არ უნდა გადაეხადა, სახელმწიფო ხომ არ დააფინანსებდა მის ბიზნესს?**



ერთ-ერთი მცირე გამომცემელი მერაბ ჯინჭარაძე ამბობს, ამ საქმეში ფული გადასახდელია, მაგრამ, გააჩნია, რამდენს ითხოვდნენ; თუ იმდენს, რომ შეუძლებელი იყო ყველა დაანგარიშებით მისი გადახდა, ე. ი. სამინისტროს ამ ბიზნესისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა. თუ გამომცემელი მაინც შესწვდებოდა ამ თანხას, ცხადია, გაიზრდებოდა პროდუქტის თვითღირებულება და, აქედან გამომდინარე, გასაყიდი ფასიც.

შაშკინი ფეისბუქში წერს, რომ იგი ქართველ გამომცემლებს ურჩევდა, საქართველოში დაებეჭდათ სახელმძღვანელოები და არა თურქეთში. ეს იმის გამო, წერს მინისტრყოფილი, რომ ჩვენთან სტამბებიც ნორმალურია და საბეჭდი ფასებიც დაბალია. როგორც გაირკვა, თურქეთში ბეჭდვით ისინი ხელოვნურად ზრდიდნენ წიგნის ფასს. თუ სახელმძღვანელო ჯდებოდა 4 ლარი, ისინი წერდნენ 8 დოლარს. ამით ამართლებდნენ წიგნის მაღალ ღირებულებასა და, ამავე დროს, ბიუჯეტს უმალავდნენ გადასახადს.

**გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორი თამარ ლებანიძე შაშკინის ამ სიტყვებს დემაგოგიასა და ტყუილს უწოდებს.** მინისტრს და მის გარემოცვას ხელოვნურად ჰქონდათ შექმნილი ისეთი გარემო, სადაც კონკურენციას ვერავინ გაუწევდათ, გარდა „24 საათის“ სტამბისა. სხვაგან დაბეჭდვა პრობლემა იყო. ლებანიძე ტყუილს უწოდებს ვითომდა გამომცემლების მხრიდან გადასახადის თავის არიდების გამო სახელმძღვანელოების თურქეთში ბეჭდვის შაშკინისეულ ვერსიას. იგი ამბობს, რომ სრული მონოპოლიზების პირობებში, საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება სტამბა, რომელსაც შეუძლია ბეჭდვის იმ სიმძლავრით უზრუნველყოფა, რაც გარკვეული დროის მონაკვეთში სახელმძღვანელოების ბაზარს სჭირდება. ქართული სტამბები ვერ იღებენ დიდ დატვირთვას და ეს არის ყოველივეს მიზეზი. ექს-მინისტრი მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და დისტრიბუციის მონოპოლიზების თაობაზე, საინტერესო პასუხებს სცემს. გამომცემლობები დისტრიბუტორებთან ერთად ქმნიდნენ ხელოვნურ დეფიციტს და, ასევე, ერთად პირადად მე მიწყობდნენ საბოტაჟს. ამის გამო მოეწერა ხელი მემორანდუმს „24 საათის“ სტამბასა (ბეჭდვა) და „საქართველოს ფოსტას “ (დისტრიბუცია) შორის. ეს მათ ექსკლუზივის უფლებას არ აძლევდა, ამბობს ყოფილი მინისტრი.

ყოფილი მინისტრის თავის მართლების კომენტირებისას „დიოგენეს“ დირექტორმა განაცხადა: **მონოპოლიის პირობებში ბევრმა ხელი აიღო სახელმძღვანელოების ბეჭდვაზე; ვინც რაღაც მანქანებით გაუძლო, იძულებული იყო, დაყაბულებოდა სამინისტროს წაყენებულ პირობებსო.**

ლებანიძის განმარტებით მინისტრყოფილის ხელდასხმულმა „24 საათმა“ წიგნები უცხოეთში დაბეჭდა. მათ შორის იყო „დიოგენეს“ 2 სახელმძღვანელოც. **„24 საათი“ ამ შემთხვევაში შუამავალი ფირმის როლს ასრულებდა. როდესაც გამომცემლობამ თავიანთ კოლეგებს იმავე წიგნსა და იმავე ტირაჟზე შეკითხვა გაუგზავნა, აღმოჩნდა, რომ დამკვეთს შუამავალმა 20 ათასი დოლარით მეტი გადაახდევინა, ვიდრე შემსრულებელი ითხოვდა.**

„24 საათმა“ კოლეგები — გამომცემლობა „დიოგენე“ 20 ათას დოლარში „გადააგდო“. აი, ეს არის ნაციონალების მეგობრობისა და კოლეგიალობის თვალსაჩინო მაგალითი.

**ზაზა ბილიხოძე**

ინფორმაცია

## თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი საახალწლო პროგრამა

**25 დეკემბერი — სახალწლო ნაძვის ხის ანთების ცერემონია რუსთაველის გამზირზე — 18:00 საათი.**

**25 დეკემბრიდან 14 იანვრამდე — მთაწმინდის პარკში სანტა კლაუსი და თოვლის პაპა პატარებს საჩუქრებით და სხვადასხვა გასართობი სანახაობით შეხვდებიან, ყოველდღიურად გაიმართება საბავშვო კონცერტები და თეატრალური წარმოდგენები.**

**25 დეკემბერი — მეიდნის საახალწლო ფესტივალის გახსნა თბილისის ბიგ ბენდის კონცერტით — 16:00 საათზე.**

**25 დეკემბერი — კინოს მოედანი — ნაძვის ხეების ფესტივალის გახსნა (სხვადასხვა კომპანიები წარმოადგენენ თავიანთი დიზაინით შექმნილ ორიგინალურ ნაძვის ხეებს, რომლებიც გამოფენილი იქნება 2 იანვრამდე), ასევე მეიდნის საახალწლო ფესტივალის განმავლობაში ყოველდღე, კინოს მოედანზე გაიმართება თბილისის ხელოვნების სკოლების ორკესტრებისა და ანსამბლების კონცერტები — 16:00 საათიდან.**

**26 დეკემბერი — კინოს მოედანი — თოჯინების საოპერო თეატრის სპექტაკლი „სევილიელი დალაქი“ — 15:00 საათზე.**

**27 დეკემბერი — კინოს მოედანი — თითების თეატრის სპექტაკლი „ექსტრავაგანსა“ — 18:00საათზე.**

**25 დეკემბრიდან 15 იანვრამდე — ყინულის მოედანი — გლდანის პარკში.**

**თოვლის პაპა 4 იანვარს გლდანის პარკს, 10 იანვარს კი მუშტაიდის პარკს ესტუმრება ტრადიციული საჩუქრებით. ღონისძიებებზე დასწრება უფასოა.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ძალოსნობა. ყრილობა

# შტანგისტები – ძველი ბილიკით



**სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში ძალოსანთა საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა. განვლილ ორ წელიწადში გაწეულ საქმიანობაზე მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის გენერალური მდივანი რამაზ გურგენიძე.** შემდეგ გაიმართა არჩევნები. პრეზიდენტობის კანდიდატები – დავით ბეჟუაშვილი და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი დელეგატების წინაშე საკუთარი პროგრამით წარსდგნენ. დელეგატთაგან 28-მ მხარი ბეჟუაშვილს დაუჭირა, კახიაშვილმა ხუთი ხმით ნაკლები მიიღო. ასე რომ, ოთხი წლის განმავლობაში ძალოსნობის ფედერაციას ბეჟუაშვილი უხელმძღვანელებს, რომელიც ვიცე-პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის კანდიდატურებს აღმასკომის უახლოეს სხდომაზე დაასახელებს.

**გივი გაგუა**

არჩევნების წინ

# ღირსების კოდექსით

**ამ დღეებში ქართულმა სპორტულმა სამყარომ კიდევ ერთხელ შეირცხვინა თავი, როცა ძალოსნობის ფედერაციის სათავეში ნაციონალთა ფულის ტომარის დავით ბეჟუაშვილის კანდიდატურა ამჯობინა ლეგენდარული სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილისას.**

ვიმედოვნებთ, უფრო ღირსეულ არჩევანს გააკეთებენ მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მონაწილენი. მათ ფორუმს 23 დეკემბერს, 14 საათზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზი უმასპინძლებს.

უპირველესად, რატომ არ უნდა დარჩნენ სათავეში დავით ბურჭულაძე (პრეზიდენტი) და ხათუნა ფირცხალავა (გენერალური მდივანი)?



ოსტატი ჯემალ მელაძე შეგირდებთან ერთად.

**1. ევროპის ფედერაციამ ჩვენი ქვეყნის საწევროს 2 წლის ვადით დაფარვა თავის თავზე აიღო და ამ მიზნით 1000 ევრო გადმოგვირიცხა, მაგრამ იგი სადღაც გაქრა და დღესაც გარიცხვის პირას ვდგავართ.**

**2. სეზონის განმავლობაში აღმასკომის არც ერთი სხდომა არ მოუწვევიათ.**

**3. ამავე ვადაში წესდებაში 2 ცვლილება ისე შეიტანეს, რომ არ მოუწვევიათ საამისოდ ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო – ყრილობა.**

**4. შესაბამისი ინვენტარი (ბურთი, ჩოგანი, ბადე) მთელ ქვეყანაში დეფიციტია.**

**5. საანგარიშო პერიოდში არც ერთი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება და უცხოური ტურნე არ მოწყობილა მაშინ, როცა მეზობელი სომხები და აზერბაიჯანელები წელიწადში სულ მცირე 15 გასვლას ახერხებენ.**

**6. რიგგარეშე ყრილობის მოწვევას 35-დან 26-მა საინიციატივო ჯგუფის წევრმა მოაწერა ხელი. თავისთავად ცხადია, რომ მაგიდის ჩოგბურთის სამყაროში პროფესიონალებად ცნობილ მომხრეთა ეს ჯგუფი თავს ტყუილუბრალოდ არ შეიკავებდა (არსებობს „გონივრული ეჭვი").**

**7. „არენას" დარბაზში გამართულ საქართველოს ჩემპიონატს ამხანაგური თამაშები დაარქვეს და დარბაზის იჯარით აღებისთვის განკუთვნილი 10 000 ლარიდან დაახლოებით ნახევარი აართქლეს და მონაწილენი უპრიზოდ დატოვეს. სხვათა შორის, იგივე განმეორდა ერთი თვის შემდეგაც, როცა იქვე ქალაქის ნაცვლად თბილისის პირველობა ეროვნულმა ფედერაციამ ჩაატარა. ამჯერად პრიზებს ვინღა ჩივის, სიგელებიც კი ვერ გაიმეტეს.**

**8. კურიოზები: 2012 წლის ღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაცაა შეტანილი. ეტყობა, საქართველოსთვის ორგკომიტეტმა გამონაკლისი დაუშვა და ორივე – ვაჟთა და ქალთა გუნდები ულიცენზიოდ მიიპატიჟა(!).**

**კიდევ უფრო საანეკდოტო თემა: ევრო – 2012 თურმე ავსტრალიაში ყოფილა დანიშნული.**

ხომ იცით ადამიანის ბუნება – ქერის ორმო მაგნიტივით იზიდავს მათ, ვინც გემო ერთხელ მაინც გაუსინჯა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სავარძლებს ვერ ელევიან და, საჭიროების შემთხვევაში, ყრილობის ჩაშლას აპირებენ. ასე რომ არ განვითარდეს მოვლენები, საზოგადოებას მომავალი ფორუმის ინიციატორთა ძირითადი ბირთვის პოზიციას გავაცნობთ.

**იური გონაძე, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ჯემალ მელაძე – მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის სვეიტლინგ-კლუბის წევრი.**

ჩვენი კანდიდატი გახლავთ ბიზნესმენი კახაბერ გუგეშაშვილი, რომელიც, ამავდროულად, ჩვენი სახეობის დიდი მოყვარულია და თავისი კლუბიც დააფუძნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დარბაზითა და 11(!) მაგიდით.

ალბათ, მიხვდებით, რომ მისი გამარჯვება თავისთავად გულისხმობს თბილისსა და რეგიონებში ჩვენი სახეობის კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას, ახალი კლუბების გახსნას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და მთელი რიგი მსხვილმან-წვრილმანი პრობლემების მოგვარებას. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამით წერტილი დაესმება საერთაშორისო ფედერაციაში ვალების დაგროვებას და მათ მესვეურებთან ნორმალური ურთიერთობა დამყარდება.

ვფიქრობთ, ამჯერად ეს უნდა ვიკმაროთ, დანარჩენზე კი მას შემდეგ ვისაუბროთ, რაც ბატონი კახა ყრილობის დელეგატთა წინაშე საკუთარი კონკრეტული პროგრამით წარსდგება და, სავარაუდოდ, მათი უმეტესობის მხარდაჭერასაც მოიპოვებს.

**გიორგი შოთაძე**

სანთელი

# გიორგი ბერიკაშვილი



მისი აკვანი კოლაგში დაირწა.

გურჯაანის რაიონის ამ გამორჩეული სოფლის საშუალო სკოლის დირექტორის ოჯახში აღზრდილ ვაჟკაცს სწავლა-განათლება არ დაჰკლებია, შრომის ყადრიც იცოდა, მაგრამ რომანტიკულმა ბუნებამ სძლია და, როგორც მეზღვაური, ერთი პერიოდი ოკეანის ტალღებსაც მიაპობდა.

ქვეყნიერების დასალიერამდე დაკეცილი საზღვაო მილები და სხვადასხვა ეთნოსის გაცნობა მოგვიანებით გამოადგა, როცა პროფესიული არჩევანი გააკეთა და სპორტული პრესის სახით გატაცებასაც მიაგნო.

„ფაიზაღა" – ამ ზედმეტსახელით იხსენიებს კალმოსანთა საძმო უდროოდ დაღუპულ კოლეგას, რომელიც უკურნებელ სენთან უთანასწორო ბრძოლაშიც შეუპოვრად გამოიყურებოდა და 2010 წლის შემოდგომიდან უკვდავების ბინადარი გახდა. დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველი ქალაქური „კლიჩკაა", რომელსაც ჩვენი მეგობარი ყოველდღიური ცხოვრებით ამართლებდა.

გუშინ „ბერიკას" 50 წელი შეუსრულდებოდა.

**მეგობრები**

ტანვარჯიშში

# სპონსორი ფიცარნაგით იწყებს



**საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დიდი ხანია, ინვენტარის სიმწირეს უჩივის. საკუთარი სახსრებით პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდება. წლების განმავლობაში არც სახელმწიფო იწუხებდა თავს. უფრო მეტიც, ქართულ ტანვარჯიშს თბილისში რვიდან ერთადერთი ბაზა შემორჩა – სანაპიროზე მდებარე დარბაზი. და აი, რამდენიმე თვის წინათ სპორტის ამ სახეობის სპონსორობა „ვითიბი" ბანკმა (გენერალური დირექტორი – არჩილ კონცელიძე) აიღო საკუთარ თავზე.**

მისმა მესვეურებმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს – ფედერაციას ტანვარჯიშის ძვირადღირებული ფიცარნაგი და ხალიჩა შეუძინეს. ინვენტარის გადაცემასთან დაკავშირებით დარბაზში უამრავმა სტუმარ-მასპინძელმა მოიყარა თავი. შეკრებილთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მიესალმა. „ტანვარჯიში მძლეოსნობასთან ერთად ყველა სპორტის საძირკველია, ამიტომ მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. შეზღუდული დაფინანსებისა და უამრავი პრობლემის მიუხედავად, ტანვარჯიშის ფედერაცია ტრადიციების შესანარჩუნებლად არაფერს იშურებდა, მწვრთნელები, ფაქტობრივად, შიშველ ენთუზიაზმზე მუშაობდნენ. დარწმუნებული ვარ, ახალი ტანვარჯიშის ფიცარნაგი როგორც მწვრთნელებისთვის, ისე სპორტსმენებისთვის სტიმული გახდება, უკეთ ვარჯიშისა და საერთაშორისო სარბიელზე წარმატების მისაღწევად. დიდი მადლობა „ვითიბი" ბანკის ხელმძღვანელობას გულისხმიერებისა და თანადგომისთვის. 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის პროგრამაში ტანვარჯიშს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამიტომაც გადაწყდა, რომ ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს დედაქალაქში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დარბაზი აშენდეს, რაც ქართველ სპორტსმენებს წვრთნის იდეალურ პირობებს შეუქმნის", – აღნიშნა სპორტის მინისტრმა.

**კოტე ლაშხი, ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:** დიდ სპორტში შედეგების მისაღწევად მარტო ვარჯიში არ კმარა – აუცილებელია თანამედროვე ინვენტარიც. ჩვენი ტანმოვარჯიშეებისთვის ტურნირებისთვის საფუძვლიანად მოსამზადებლად ერთ-ერთი ხელშემშლელი პრობლემა ფიცარნაგის უქონლობა იყო. დიდი მადლობა „ვითიბი" ბანკის ხელმძღვანელობას, რომელმაც ეს მნიშვნელოვანი საზრუნავი მოგვიხსნა. ბატონი არჩილ კონცელიძე შეგვპირდა, რომ მომავალშიც არ მოგვაკლებს თანადგომას.

„მე და ჩემს კოლეგებს გვიყვარს სპორტი, ამიტომ მისი მხარდაჭერა მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია. აქამდე ავტოსპორტსა და ჩოგბურთს ვეხმარებოდით, ახლა კი ტანვარჯიშს დავუდექით გვერდით. ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უპირველესად ფიცარნაგისა და ხალიჩის შეძენა განვიზრახეთ. ამგვარი დახმარება არ იქნება ერთჯერადი აქცია. მით უმეტეს, რომ 2015 წელს თბილისი ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. თუნდაც ამ შეჯიბრებისთვის უნდა ჩამოყალიბდეს კონკურენტუნარიანი გოგონათა და ვაჟთა გუნდები. მათ მომზადებას კი სათანადო მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენი მიზანია, ამ საქმეშიც შევიტანოთ საკუთარი წვლილი", – გვითხრა არჩილ კონცელიძემ.

**ლექსო ცინცაძე**

ცურვა

# სეზონის ფინიშზე

**2001-2004 წლებში დაბადებული მოცურავე გოგო-ბიჭები მონაწილეობდნენ თბილისის პირველობაში, რომელსაც ვაკის საცურაო აუზმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში დედაქალაქისა და რუსთავის 100-მდე წარმომადგენელი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა დავით გელაშვილმა გვითხრა, რომ ნორჩ სპორტსმენებს ვაკის აუზის მესვეურებმა უანგაროდ დაუთმეს „ცისფერი ბილიკები", ხოლო მედლები და პრიზები კომპანია „მაქსიმალმა" შეიძინა.**

**დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:**

**2001-2002 წლებში დაბადებულნი.** გიორგი ჩიტიშვილი (გულაღმა ცურვა, 100 მ. „სპორტთაიმი"), ნიკა წერეთელი (ბრასი. 100 მ. „ოლიმპიკი"), სანდრო დურგლიშვილი (თავისუფალი ყაიდა. 100 მ. „ტონუსი").

**2003-2004 წლებში დაბადებულნი. 50 მეტრ დისტანციაზე:** თამარ მეგრელიძე (ბატერფლაი, რუსთავი), ანა ბუცხრიკიძე (ბრასი, „ვაკე"), ლანა უსტიაშვილი (თავისუფალი ყაიდა, „ვაკე"), ნიკოლოზ ბერიანიძე (ბატერფლაი, „ტონუსი"), ლაშა სარიშვილი (გულაღმა ცურვა, რუსთავი), ლუკა იჩუაიძე (ბრასი, „ოლიმპიკი"), ნოიან ბილგუთაი (თავისუფალი ყაიდა, „ვაკე"). **100 მეტრზე**. ნიკა წერეთელი (ბატერფლაი, „ოლიმპიკი"), ემრე ბილგუთაი (გულაღმა ცურვა, „ვაკე"), სანდრო კაშია (ბრასი, „ლაგუნა ვერე").

**ლაშა დიდია**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ნაცარში ჩავარდნილი კოვზი

**2012 წლის 19 აგვისტოს ადვოკატი კახა მუმლაძე კოალიცია „ქართული ოცნების" მიერ გამართულ აქციას ესწრებოდა. წვიმის მოსვლის შემდეგ ადვოკატი და მისი მეგობარი შარტავას მოედანზე მდებარე რესტორან „ელ-დეპოში" შევიდნენ. მოგვიანებით, რესტორანში შევიდა სამი ახალგაზრდა, რომელთაგან ერთ-ერთს, აზარ მამედოვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სააგიტაციო მაისური ეცვა. იგი აგრესიულად იქცეოდა, უხეშად მიმართავდა მომსახურე პერსონალს. კახა მუმლაძემ ურჩია, რომ ჯობდა, ზრდილობიანად მოქცეულიყო, გაეხადა ეს მაისური და ისე შესულიყო რესტორანში.**

**მოგვიანებით, საპატრულო პოლიციამ კახაბერ მუმლაძე დააკავა, ხოლო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით, ხულიგნობის ბრალდებით 90-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა.**

**დაკავების დღიდან კახა მუმლაძემ დაიწყო უვადო შიმშილობა, ვინაიდან მისი განცხადებით, იგი არაადამიანური მოპყრობის პირობებში იმყოფებოდა. ამასთან, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამაც დაადასტურა აღნიშნული ფაქტი. 2012 წლის 30 აგვისტოს საია-ს ადვოკატი იმყოფებოდა გარდაბნის რაიონის შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში და გამოიკვეთა, რომ კახაბერ მუმლაძე იმყოფებოდა ადამიანისთვის შეუფერებელ მდგომარეობაში, იგი არ ყოფილა გაყვანილი სუფთა ჰაერზე, არ ეძლეოდა ელემენტარული ჰიგიენური საშუალებები (საპონი, პირსახოცი), არ იყო უზრუნველყოფილი შხაპის მიღებით, უარს უცხადებდნენ საწერი კალმისა და ფურცლების მოთხოვნაზე. ხოლო წერილები, რომელსაც უგზავნიდნენ, არ გადაეცემოდა.**

# ვის გაჩუმებას აპირებდნენ არჩევნებამდე ადვოკატის დაპატიმრებით?



**— ყოფილი ხელისუფლების მხრიდან თქვენი დაკავების შესახებ რას იტყვით?**

— მე წამების ფაქტები გამოვიტანე შარშან, როცა პატიმარი კახა ბარათაშვილი აწამეს მე-18 დაწესებულებაში. მას სასტიკად მხოლოდ იმიტომ სცემეს, რომ თირკმლების შეტევის გამო ექიმის დახმარება და ტკივილგამაყუჩებელი მოითხოვა. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გაიყვანეს პალატიდან, ჩაიყვანეს საავადმყოფოს მორგში და სასტიკად სცემეს. მთელი ღამე გაკოჭილი ჰყავდათ. ცემისას პარალელურად ვედროებით წყალს ასხამდნენ და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ. წამებაში მონაწილე თანამშრომელთა შორის განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი გიორგი ავსაჯანიშვილი გამოირჩეოდა.

მე თვითონ ვიყავი იქვე და ჯერ კიდევ ციხეზევე დამაკავეს, ჩემს პატიმარს კი უთხრეს, რომ მის რვა წლის გოგოს გააუბედურებდნენ, თუ ჩივილს არ შეწყვეტდა. ჩვენ არ შევწყვიტეთ ჩივილი და ბრძოლა. ამის გამო, ვფიქრობ, ადვოკატთა კორპუსის მიმართ წმინდა დაშინების მიზნით დამაკავეს, თორემ მე თვითონ, ნაომარ კაცს, იქვე მეუბნებოდნენ, გადმოდი ნაციონალებშიო.

47 დღე იატაკზე მეძინა. გარდაბნის იზოლატორში ჩამიყვანეს, წვრილმანი ხულიგნობა გამიფორმეს და პროვოკაცია მომიწყვეს. ერთადერთი ეგ იყო, რომ დანარჩენი ადვოკატები არჩევნებამდე ჭკუით ყოფილიყვნენ და ზედმეტი აქტიურობა არ გამოეჩინათ.

**— როგორ ფიქრობთ, ვინმე უშუალოდ იყო დაინტერესებული თქვენი, როგორც ადვოკატის დევნით?**

— ამაში მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა" და ის რეჟიმია დამნაშავე. კონკრეტულად რომელიმე პიროვნებას ვერ დავადანაშაულებ. ეს იყო რეჟიმი, რომელიც დამნაშავეთა კასტად ჩამოყალიბდა, ერთად გაერთიანებულნი და ერთიანი ფრონტით მოქმედებდნენ ყველას მიმართ და ქვეყნის უბედურებასა და უსამართლობაში თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი.

**— ციხის პირობებს როგორ გაიხსენებთ?**

— 21 დღის განმავლობაში შიმშილობა მქონდა გამოცხადებული. აბსოლუტურად არ მქონდა უფლება და არ მასეირნებდნენ, ჰაერზე არ გავყავდი, ვიყავი მიწის ქვედა სართულზე მოთავსებული. ჩემთვის არ იყო აბანო, არ მაძლევდნენ საპონს, ჰიგიენის საშუალებებს. კამერაში ყოფნისას სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის წარმომადგენლებს უთხრეს ეს ყველაფერი, არ მქონდა წვერის გაპარსვის საშუალება. გამოვყავდით ღამის სამ-ოთხ საათზე და მეუბნებოდნენ, გავშიშვლებულიყავი, ადექი-ჩაჯექიო, კედლისკენ შებრუნდიო. და, როცა ვეკითხებოდი, რატომ აკეთებდნენ ამას, მეუბნებოდნენ, იმას ვამოწმებთ რამე აკრძალული ნივთი ხომ არ გაქვსო. წარმოიდგინეთ, ღამის სამ-ოთხ საათზე რა უნდა მქონოდა იქ, როცა ჰაერზეც კი არ მასეირნებდნენ?!

**— ეს იყო შურისძიება იმის გამო, რომ იმ პატიმრის ჩვენება გამოიტანეთ?**

— ეს იყო წამების ფაქტები, ფაქტობრივად, მე ბრალი დავდე, მივმართე ევროკავშირის, ამერიკის ელჩს, ბეჭდურ საშუალებებს. ერთ-ერთმა პირველმა ეს ხმამაღლა ვიყვირე. უკვე სამ ოქტომბერს ახალმა ხელისუფლებამ მითხრა, რომ გამოვდიოდი და 5-ში დილით გამათავისუფლეს.

**— არაადამიანურ პირობებში თქვენი ყოფნა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამაც დაადასტურა.**

— საიას ადვოკატებმა მოსამართლეს წარუდგინეს, რომ მე კახაბერ მუმლაძე, ადვოკატი, 9 აპრილის მონაწილე და ტრავმირებული, კანტუზირებული ვიყავი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანი, ინვალიდი, 4 მცირეწლოვანი შვილის მამა გახლდით. უფროსი შვილი ჯერ 12 წლისაც არ არის, ამასთან, ადრე არ მქონია არანაირი დანაშაული ჩადენილი და ჩემს ქმედებას არ გამოუწვევია არავითარი შეფერხება. მოსამართლე ეკა პართენიშვილს მივმართე, არ გამოეტანა ჩემთვის პოლიტიკური გადაწყვეტილება, მაგრამ იგი „ნაციონალური მოძრაობის" მონა აღმოჩნდა. არ ვიცი, ვისი მითითება ჰქონდათ. იმედი მქონდა, რომ შეიძლება 100 ლარით დავეჯარიმებინე, რადგან ჩემს ქმედებაში არ იყო დანაშაული, პატრულის ინსპექტორმა ლეიტენანტმა ლევან ჭამიაშვილმა მითხრა, რომ, თუ ბიძინა ივანიშვილი, ჩემნაირები და „ქართული ოცნება" მოვიდოდა სათავეში, ჩვენ დავბრუნდებოდით ქვის ხანაში და, რომ ჩვენ ვიყავით რუსების პროექტი. თანაც დაამატა, ციხეს მოგისჯიან, აბა, რას გიზამენო. არც იფიქრო, რომ აქედან გახვალო. უკვე გადაწყვეტილი იყო და მან უკვე იცოდა, რომ ჩემთვის უნდა მოესაჯათ. არადა, მეგონა, რომ ამას არ იზამდნენ, მაგრამ მაინც გააკეთეს. ფაქტობრივად, ჩემი ოთხი მცირეწლოვანი შვილი გაწირეს, რადგან ჩემს მეტი ჩემს ოჯახს ყურადღების მიმქცევი არ ჰყავდა.

**— 9 აპრილს კანტუზია რა ვითარებაში მიიღეთ?**

— ტელევიზიასთან ვიყავი 9 აპრილის ღამეს, როდესაც იქ დიდი ცემა ატყდა, მსხვერპლი არ ყოფილა იმ ტერიტორიაზე, მაგრამ, როდესაც დაიძახეს, ქალები გავიყვანოთო და ჯარი წამოვიდა სპორტის სასახლის ზემოდან, პირველ რიგში, ჩვენ გადავდექით და, ვისაც შეგვეძლო, ცოტა უნარიანი ბიჭები ვინც ვიყავით, ვეცადეთ, ქალებისთვის მიგვეცა საშუალება, ტელევიზიის უკანა მხრიდან დაეტოვებინათ აქციის ტერიტორია. ამ დროს იქ მცემეს, დავკარგე გონება და შემდეგ ერთ-ერთ მოპირდაპირე სახლში, სადარბაზოში მოვედი გონს.

**— როგორც ვიცი, 7 ნოემბრის და 26 მაისის აქციებშიც მონაწილეობდით.**

— საშინელი განცდა მქონდა. იმ დროს ჩემს ცნობიერებაში ბევრი რამ შეიცვალა, მათ დაინახეს, რომ მე სამხედრო ჟეტონი ამომივარდა ბარათაშვილის ხიდთან, ბერიკების სიახლოვეს. იქ დამეტაკნენ ჯარისკაცები და ჟეტონი მაშინ ამომივარდა, შენ ჯარისკაცი ხარო? არა, ვეტერანი-მეთქი, შეეშვი, შეეშვიო და გამიშვეს იქიდან. შემდეგ რიყეზეც მომიწია შეტაკებაში მონაწილეობის მიღება. ეს 7 ნოემბერს ხდებოდა, მაგრამ 26 მაისი საერთოდ საშინელება იყო, რადგან როდიონოვმა გასაქცევი მაინც მისცა ხალხს, ნაციონალებმა კი გასაქცევიც არ მისცეს. დღეს რომ იმ საწყალის, გარდაცვლილი პოლიციელის დედა გამოდის და საუბრობს, რომ მისი შვილი თურმე ნინო ბურჯანაძის მანქანამ გაიტანა, მის დედას თქვენი მეშვეობით ვეტყვი, რომ მისი შვილი მოსული იყო ჩვენს მოსაკლავად და ის გახდა რომის პაპზე მეტი პაპი და შეახტა მანქანას. როცა გარბის ადამიანი, გაუშვი და დაანებე თავი.

**— რა იცით, რომ მოსაკლავად იყო მოსული?**

— ყველა, ვინც იქ იდგა, აბსოლუტურად ჩვენი პოტენციური მკვლელები იყვნენ. სიკვდილს რომ თავი დავანებოთ, მინიმუმ, ჩვენი სისხლის დაღვრა მაინც უნდოდათ, თუ სიკვდილი არა. ამიტომ, მე ვფიქრობ, დედამისმა ცოტა თავი უნდა შეიკავოს იმ განცხადებისგან, რომ თითქოს ბიბილური და დანარჩენები არ არიან პოლიტპატიმრები. ეს არის ჩემი, როგორც მოქალაქის და არა ადვოკატის აზრი.

**მანანა ნოზაძე**

---

**ჯიმი, მურთაზ მიქელაძეები, ნიკოლოზ ნეფედოვი, ბორის სარალიძე, ავთანდილ საყვარელიძე, გურამ ფერაძე, ვანიკო მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, ჯონი მანწკავა, გუჯა ახალაძე, ანზორ ბერაძე, შოთა ჩაკვეტაძე, ალეკო ჩხეიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ჭეშმარიტი ქართველის, უკეთილშობილესი პიროვნების, თვალსაჩინო მეცნიერისა და აღმზრდელის, ექიმ-სტომატოლოგის**

### ავთანდილ საყვარელიძის

**ტრაგიკულ დაღუპვას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**შვილები თემურ, მარინა მახარაძეები ოჯახებით იუწყებიან მამის**

### გიორგი (ჟორა) ისიდორეს ძე მახარაძის

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 19 XII, 17 სთ. დაკრძალვა 20 XII, 14 სთ. მისამართი: ლარსის ქ. №5.**

---

**ავთო ისაკაძე, გოგი ქავთარაძე, ბეჟან წინამძღვრიშვილი, გოგი წითლანაძე, რეზო ციციშვილი, თენგიზ ჩარკვიანი, გია მგალობლიშვილი, ნინო გოგიჩაიშვილი, მარინა კობახიძე, ზეინაბ ბარნოვი, მარინა გუნია, ნინო ეგუტია, ზაზა ბოკერია, ცეზარ შევარდნაძე, ილია ბერულავა, ლევან შალამბერიძე, მერაბ დვალი, ნოდარ ლომიძე, ნიკო გონგაძე იუწყებიან, რომ მათს უახლოეს მეგობარს თემურ მახარაძეს გარდაეცვალა მამა, ღვაწლმოსილი პიროვნება**

### გიორგი მახარაძე

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**გურამ, ლია გვეტაძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, ღირსეული მოქალაქე, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი**

### გიორგი მახარაძე

**და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

# განცხადება აუქციონის შესახებ

**2012 წლის 27 დეკემბერს, 11.00 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, საგამოფენო დარბაზში ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „არსის" (ს.ნ. 203828509) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის რეალიზაცია:**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

- **შპს „არსის" (ს.ნ.203828509) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა ქავთარაძე, №1ა, სართული 5, ბინა №36 (ბლოკი B), ფართი 94.00 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.14.03.038.029.02.036.**

  **უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 47,038 (ორმოცდაშვიდი ათას ოცდათვრამეტი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი — სს „თიბისი ბანკი".

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს სს „თიბისი ბანკში" შემდეგ ანგარიშზე GE30 TB11 0045 0113 0055 55, რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ შპს „არსს" (ს.ნ 203828509), თინა ონაშვილს (პ.ნ. 01005004017)**

ეცნობოს შპს „არსს" (ს.ნ 203828509) და თინა ონაშვილს (პ.ნ. 01005004017), რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუქციონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყება (შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი"
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7.

---

## ინფორმაცია

# შს სამინისტრომ ავთანდილ საყვარელიძის მკვლელობაში ბრალდებული დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავთანდილ საყვარელიძის მკვლელობა გახსნა. ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა მკვლელობისა და ქურდობის ბრალდებით , 1989 წელს დაბადებული იური ფ. დააკავეს.**

**გამოძიების ინფორმაციით, 16 დეკემბერს, დაკავებული ყაზბეგის ქუჩაზე №25-ში, 1927 წელს დაბადებულ ავთანდილ საყვარელიძის ბინაში მივიდა და, როგორც გაირკვა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბინის მეპატრონე ბალიშით გაგუდა. შემდეგ, ძვირფასეულობა მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ბრალდებულმა საყვარელიძის ბინიდან მოპარული ოქროს ნივთები თბილისის სხვადასხვა ლომბარდში ჩააბარა, აღებული თანხით, იმავე დღეს შეიძინა ბილეთები თბილისი-კიევის მიმართულებით და საქართველო დატოვა.**

**უკრაინელმა მესაზღვრეებმა იური ფ-ს დაუყოვნებლივ დეპორტირება მოახდინეს.**

ინტერპრესნიუსი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### „პროვიზორი“ ბაქტერიები



**რუსეთელმა მეცნიერებმა პაციენტთა ორგანიზმებში ისეთი ბაქტერიების შეყვანის იდეა წამოაყენეს, რომლებიც საჭირო წამლების წარმოებაზე არიან მოდიფიცირებულნი.**

ამ მეთოდის გამოყენებისას საჭირო აღარ იქნება წამლების გამუდმებით მიღება, თანაც მომყოლი მოვლენებიც თავიდან იქნება აცილებული, ამტკიცებენ მედიკოსები. აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ასეთი მკურნალობის ღირებულება გაცილებით დაბალი იქნება.

### ჩამეხუტე, ჩამეხუტე!..

**მეცნიერებმა დაამტკიცეს: კაცმა თავი ბედნიერად რომ იგრძნოს, დღეში ექვსი ხელის შეხება მაინც უნდა „მიიღოს“.**

თუმცა, მაშინვე დაიბადა კითხვებიც: მაინც რა სახის კონტაქტია სრულფასოვანი? და ითვლება თუ არა „შეხებად“ კონტაქტები საზოგადოებრივ ტრანსპორტში?

ამასთან დაკავშირებით ექიმი ფსიქოთერაპევტი იური ვიალმა აზუსტებს, რომ სრული ბედნიერებისთვის ადამიანს დღეში ექვსი ხელის შეხება კი არა, არამედ ექვსი ჩახუტება სჭირდება, თანაც უნდა მოეხვიოს არა უცხოს, არამედ ახლობელს.

— ყველა ადამიანს აქვს „პირადი სივრცის“ ზონა, რომელშიც უბრალო შეჭრაც კი დისკომფორტს გვიქმნის, ხოლო ხელის შეხება, მით უმეტეს უცხო კაცის, უმეტესობა ჩვენგანისთვის არასასიამოვნოც კია, — ამბობს ექიმი.



ჩახუტებაში მაგიური არაფერია, ამიტომ სხვა ადამიანის კანით შეგრძნება აუცილებელი სულაც არ არის. ჩახუტება — ესაა სიყვარულის სიმბოლური მაჩვენებელი, რომელიც ჩვენში დაცულობის შეგრძნებასთან ასოცირდება.

### იმუნიტეტის ასამაღლებლად

**ორგანიზმის იმუნური უჯრედები ცილოვან სუბსტანციებს შეიცავენ. ამიტომაცაა, რომ იმუნიტეტის შემნარჩუნებელი და გამაძლიერებელი მთავარი მდგენელია ცილოვანი პროდუქტები, რომლებიც შეუცვლელი ლამინომჟავების სრულ ნაკრებს შეიცავენ. ესენია, კერძოდ, უცხიმო ხორცი, თევზი, ხაჭო, კვერცხი, რძის ნაწარმი.**

ავადმყოფობისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი ნაწლავთა მიკროფლორაზეა დამოკიდებული — იმუნურ უჯრედთა უმეტესი ნაწილი ნაწლავთა ლორწოვან გარსშია. ნაწლავთა ბაქტერიებს პექტინური ნივთიერებები სჭირდებათ, რომლებსაც ხილი, მარცვლეული, უხეშად დაფქვილი პური და რძის მჟავე პროდუქტები შეიცავენ. ინფექციების „სადარბაზო კარი“ — ესაა ყელისა და ცხვირის ლორწოვანი გარსები. მათ ორგანიზმის დაცვა რომ შეძლონ, ვიტამინები და მიკროელემენტებია საჭირო, რომლებსაც ხილი და ბოსტნეული შეიცავს.

### „შიშის მკვლელები“

**ბელარუსმა მედიკოსებმა გასაოცარი აბები შექმნეს, რომლებიც... შიშის გრძნობის დაძლევაში ეხმარებიან სუსტი ნერვების მქონე პაციენტებს!**

„შიშის მკვლელი“ აბების საფუძველს ნაწლავის ჩხირის ფერმენტები წარმოადგენს, რომლებიც იმუნური სისტემის მომძლავრებაში მონაწილეობენ. მღრღნელებზე დაყენებული ცდების შედეგად გაირკვა, რომ ორგანიზმში მოხვედრილი ფერმენტები ინდივიდს შიშის შეგრძნებას უხსნიან — ცხოველებმა თავი დაანებეს სოროებში დამალვას და გადაადგილება მოურიდებლად დაიწყეს.

### პირველი სიგარეტი – გაღვიძებიდან ორ საათში



**მედიკოსთა ახალი გამოკვლევის თანახმად, დილით მოწეული სიგარეტი დიდად ზრდის არა მარტო ფილტვების, არამედ კისრისა და თავის კიბოს წარმოქმნის ალბათობასაც.**

ამასთან, აღმოჩნდა, რომ მოწეული სიგარეტების ოდენობას ონკოლოგიური წარმონაქმნის წარმოსაშობად მნიშვნელობა არა აქვს. ისინი, ვინც პირველი სიგარეტის მოკიდებას გაღვიძებიდან მხოლოდ ორი საათის შემდეგ რისკავენ, თავს საფრთხეში ნაკლებად იგდებენ იმათთან შედარებით, ვინც ლამის ანთებული სიგარეტიანად იღვიძებს.

### დროებითი შეზღუდვის უაზრობა

**დიდი ბრიტანეთის ნორთუმრის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თამბაქოს შიგადაშიგ მოწევა ყოველდღიურ მოწევაზე არანაკლებ სახიფათოა.**

თურმე თამბაქოს მოწევის გარკვეულ შეზღუდვას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონია: თამბაქოს წვის შედეგად ნარჩენი პროდუქტები ნებისმიერ შემთხვევაში ნეგატიურად ზემოქმედებენ თავის ტვინზე და მეხსიერების მდგრად გაუარესებას იწვევენ.

### თუ სამსახურებრივი წინსვლა გსურთ

**ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პიტსბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კარიერისტებისთვის ყველაზე მეტად სარგებლიანი პროდუქტია... ცხიმიანი თევზი.**

დიეტოლოგები 18-20 წლის ახალგაზრდებს ამ საკვების ყოველდღიურად მირთმევას ურჩევენ. ეს რაციონი მეხსიერებისა და გონებრივი შრომისუნარიანობის საგრძნობლად გაუმჯობესებას უწყობს ხელს. საქმე ის არის, რომ ომეგა-3 ცხიმის მჟავები თავის ტვინის სისხლით მომარაგებას უწყობენ ხელს.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

— **ექიმო**, უნდა მიშველოთ, ჩემი ცოლის მდგომარეობა უფრო დამძიმდა! — ეუბნება ტიპი.

— ჩემს მიერ გამოწერილმა წურბელებმა არ უშველეს?

— არა. სამი ცალი ძლივს გადაყლაპა და მეტზე კატეგორიული წინააღმდეგია.

* * *

— **თქვენს** ქმარს ხელი აქვს მოტეხილი, — ეუბნება ექიმი პაციენტ ქალს.



— ექიმო, რაღაცას მიმალავთ. ნუ გეშინიათ, ყველაზე მძიმე განაჩენისთვისაც ვარ მზად. მითხარით, ჭურჭლის რეცხვას შეძლებს?

**ექიმთან** ქალი მიდის და ეწუწუნება:

— ექიმო, რამდენჯერაც მივედი სახლში, იმდენჯერ ჩემი ქმარი უცხო ქალთან ერთად დამხვდა საწოლში. როგორც კი დავაპირებ სკანდალის ატეხვას, იგი მაშინვე მეუბნება: „ცოტა ხნით გადი სამზარეულოში, ყავა დალიე და დაწყნარდი“.

— ჩემგან რას ითხოვთ, რითი შემიძლია დაგეხმაროთ?

— ის მაინტერესებს, საზიანო ხომ არ არის ამდენი ყავის სმა?

* * *

— **რა** გაწუხებთ? — ეუბნება ექიმი მასთან მისულ პაციენტ ქალს.

— ქმარი მაწუხებს, მაგრამ ამჯერად თქვენთან ჩემი თირკმლის გამო მოვედი.

## დღესასწაული

# სასწაულმოქმედი ნიკოლოზი — სვეტიცხოვლის კედელზე!




**19 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ნიკოლოზობას.**

**...წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედი საქართველოს მფარველია. გასულ წელს მისი სახე სვეტიცხოვლის დიდი ტაძრის ერთ-ერთ კედელზე მირონის მოხარშვისას ნათლად გამოისახა.**

...მცირე აზიის ქალაქ პატარში ჯერ კიდევ ჭაბუკი მღვდლად აკურთხეს და იმ დღიდან მოყოლებული წმინდა ნიკოლოზი ადამიანებს საიდუმლოდ ეხმარებოდა. ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

...დიდუბის ტაძრის ნიკოლოზის ნიშასთან, ფრესკაზე ერთ-ერთი ეპიზოდია აღწერილი: ერთ ქალაქელ ვაჭარს 3 ქალიშვილი ჰყავდა. როცა გოგონები სრულწლოვანნი გახდნენ, ვაჭარს სავაჭრო საქმე ცუდად წაუვიდა და სრულიად გაკოტრდა. მაშინ მას თავში სამარცხვინო აზრი მოუვიდა, კერძოდ თავისი ქალიშვილების სილამაზე გამოეყენებინა და ამით ლუკმა-პური ეშოვა. წმინდა ნიკოლოზმა მისი გეგმების შესახებ შეიტყო და გადაწყვიტა, ისიც და მისი გოგონებიც სირცხვილისგან ეხსნა, ერთხელ ღამით, იგი გაკოტრებული ვაჭრის სახლთან მივიდა და ფანჯრიდან ოქროთი სავსე ტომარა გადაუგდო. ვაჭარმა ოქრო რომ ნახა, გაიხარა, თავისი უფროსი ქალიშვილი გაათხოვა და საჭირო მზითევიც გაატანა. შემდეგ მეორე ტომარაც გადაუგდო მეორე ქალიშვილის მზითევისთვის. როცა წმინდა ნიკოლოზმა მესამე ოქროს ტომარაც გადაუგდო, ვაჭარი დაუდარაჯდა და ყველაფერი გაიგო. ის წმინდა ნიკოლოზს ფეხებში ჩაუვარდა და ტირილით გადაუხადა მადლობა საშინელი ცოდვისა და სირცხვილისგან მისი ოჯახის ხსნის გამო. ვაჭარმა თავისი კეთილისმყოფელის მსგავსად, ხალხის დახმარება დაიწყო.

სასაწაულმოქმედი ნიკოლოზი IV საუკუნეში სიბერეში გარდაიცვალა. ათასხუთასი წელიწადია, რაც ის ყველას მსწრაფლშემწეა. მისი შემწეობის შესახებ მოთხრობები რამდენიმე დიდი ტომია. ამჟამად მისი წმინდა ნაწილები ქალაქ ბარის ტაძარშია დაბრძანებული.

**გიული ლიპარტია**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com